

თბილისის  
ვანო  
სარაჯიშვილის  
სახელობის  
სახელმწიფო  
კონსერვატორიის  
ტრადიციული  
მრავალხმიანობის  
კვლევის  
საერთაშორისო  
ცენტრის  
ბიულეტენი



თბილისი. 0860ს0. 2005

#2

3. შეხვედრა იუნისპოზი
4. კონფერენცია „ქართული გალობის ერთი საუკუნე“
6. სასულიერო და ფოლკორული მუსიკის ფესტივალი ბათუმში
7. საბავშვო ფესტივალი ბათუმში
7. ფოლკლორული ფესტივალი „არტგენი“
8. ფესტივალი „სიმღერა სამეგრელოზე“ ხობში
9. ქართული გალობის ახალი აღმოშობი
10. ტმკსც-ის ვებსაიტის შესახებ
11. ქართული ხალხური მუსიკის მონაცემთა ბაზის ახალი პროგრამა
12. ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის პრეზენტაცია
12. ლილგაკების კოლექციის გადასარჩენად
14. ფოლკლორული ექსპედიცია ზემო ალვანში (თუშეთი)
16. ფოლკლორული ექსპედიცია შუახევის რაიონში (აჭარა)
17. ქართველი ეთნომუსიკისმცოდნები. ედიშერ გარაყანიძე
21. საქართველოს ფოლკლორული კოლექტივები. ქალთა ფოლკლორული ანსამბლი „მზეთამზე“
23. ე. ემსამერი – კავკასიური ფოლკლორის მოამაგე
28. ჩვენს სოფელში ერთდროულად თერთმეტი კრიმაჭული იყო. ინტერვიუ ცნობილ ლოტბარ ვაჟა გოგოლაძესთან
31. ერთი ქართული ხალხური სიმღერა. ასლანური მრავალეამიერი



ბიულეტენი გამოდის წელიწადში ორჯერ,  
ქართულად და ინგლისურად,  
იუნესკოს მსარდაჭერით

© თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის  
სახელმწიფო ქონსერვატორიის ტრადიციული  
მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი, 2005

**ISSN 1512-2883**

**რედაქტორები:**  
რუსულან წურწუმია,  
თამაზ გაბისონია

**დიზაინერები:**  
ნიკა სებისკვერაძე,  
გიორგი კოკილაშვილი

**კომპ. უზრუნველყოფა:**  
თამაზ გაბისონია  
კახა მაისურაძე

**სტამბა:**

მისამართი: საქართველო, თბილისი, 0108, გრიბოედოვის ქ. №8/10.  
ტელ: (+995 32) 2998953, ფაქსი: (+995 32) 2987187

ელ-ფოსტა: [polyphony@polyphony.ge](mailto:polyphony@polyphony.ge); [polyphony@conservatoire.edu.ge](mailto:polyphony@conservatoire.edu.ge);  
[www.polyphony.ge](http://www.polyphony.ge)

## შეხვედრა იუნესკოში

2005 წლის 17-18 მარტს პარიზში შედგა იუნესკოს ექსპერტთა შეხვედრა, რომელიც არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ინგინტარიზაციის პრობლემებს ეძღვნებოდა.

თბილისის სახელმწიფო კინემატოგრაფიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი (ტრკ) 2003 წლიდან ახორციელებს იუნესკოს სამწლიან პროგრამას "ქართული პოლიფონიის დაცვა და განვითარება". როგორც ჩანს, ამ პროგრამის პირველი-მეორე კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაოების წარმატებით დასრულებამ განაპირობა ჩემი, როგორც ცენტრის ხელმძღვანელის მიწვევა პარიზში, იუნესკოს ექსპერტთა აღნიშვნულ შეხვედრაზე. შეხვედრის ინიციატორი იყო იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სექციის დირექტორი ბ-ნი რიკას სმიტსი.

ექსპერტთა შეხვედრაზე წარმოდგენილი იყო მსოფლიოს მრავალი სახელმწიფო - აშშ, საფრანგეთი, იაპონია, ინდოეთი, ბრაზილია, მექსიკა, ბულგარეთი, ბელგია, სამხრეთ აფრიკის რესბუბლიკა, კოლუმბია, ნიკარაგუა, კამბოჯა, ყოფილი საბჭოთა სფრციდან საქართველო, ლიბერა, უზბეკეთი, სულ 25 ქვეყანა.

შეხვედრაზე ოთხი საცანო გამოსვლა იყო. მონაწილეობა ურთიერთობის ფორმას კი დებატები წარმოადგენდა, რომლის დროსაც ექსპერტები მსჯელობდნენ არა მარტო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის აღწერის (ინგინტარიზაციის) მეთოდოლოგიურ საკითხებზე, არმქე ინგინტარიზაციის პროცესში წამოჭრილი კონკრეტული პრობლემების გადაწყვეტის გზებზეც.

სხვადასხვა ქვეყანაში და მათ შორის, საქართველოში ამ ოვალსაზრისით არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია იუნესკოს წინასწარ ჰქონდა შეკრებილი სპეციალური კითხვარების მეშვეობით.

შეხვედრაზე შესაძლებლობა მქონდა ბ-ნ რიკას სმიტსისათვის გადამეცა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის წინადადება თბილისში აკმის ინგინტარიზაციის საკითხებზე, კავკასიის რეგიონალური კონფერენციის ჩატარებასთან დაკავშირებით. ამასთან, დისტანციის პროცესში საუბარი მქონდა საქართველოში შექმნილ მდგომარეობაზე არამატერიალური კულტურული ტრადიციების დაცვის, რეკონსტრუქციისა და განვითარების თვალსაზრისით, ცხა-



დია, უპირველეს ყოვლისა, მუსიკალური ფოლკლორის სფეროში.

არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვა საქართველოში მხოლოდ ახლა იძენს მაფიოზ გამოხატული პოლიტიკის ხასიათს. ერთ-ერთი პირველი საფეხური ქვეყანაში საკანონმდებლო ბაზის შექმნა და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის აღწერა. შეიძლება ითქვას, ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა, რადგან თუ არ იცი, რა საგანძუროს პატრონი ხარ, ვერც იმას განსაზღვრავ, როგორ უნდა მოუკრო მას.

ცხადია, ეს საკითხი დღის წესრიგში დღეს არ დამდგარა. საქართველოში, როგორც უკელვანიფორში, საზოგადოდ აღწერის, და მათ შორის, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის აღწერის საკმაოდ განვითარებული სისტემა არსებობდა. ენისა და მუსიკის სფეროში ამას საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ XIX საუკუნეში, როცა დაიწყო ზეპირსიტყვიერებისა და ხალხური სიმღერის შეგროვება-ფიქსაციის პროცესი.

შემდეგ, საბჭოთა პერიოდში, არსებობდა სახელმწიფო (მათ შორის სამეცნიერო) ინსტიტუტების მთელი სისტემა, რომელიც შეისწავლიდა ხალხურ ზეპირსიტყვიერებას, ხალხურ მუსიკას, ხალხურ რეწვას და ა.შ. ამ დაწესებულებებში, ცხადია, მიმდინარეობდა უკვე არსებული და ახლად მოპოვებული მასალების შეგროვება, რის შედეგად XX საუკუნეში შექმნა არამატერიალური კულტურის საკმაოდ მდიდარი არქივები, რომელთა აღწერა და შემდგებადმეშვება მათი ძირითადი საქმიანობა იყო.

ეს დაწესებულებები დღესაც ფუნქციონირებენ და ახალი ყაიდის -სპეციალური კომპიუტერული პროგრამებით აგრძის აღწერის პიონერებიც საქართველოში სწორედ ისინი არიან - მაგალითად, ერთ-ერთი პირველი ასეთი აღწერა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის

არქივის ხელმძღვანელის ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის პ-ნ ელგუჯა დადუნაშვილის თაოსნობით განხორციელდა 1996 წელს. ამ მონაცემთა ბაზის ინტერნეტ-გვრცია შეიქმნა 2003 წელს DAAD-ის პროგრამის ფარგლებში მაინის ფრანგულტის გოვთეს სახელობის უნივერსიტეტის მხარდაჭერით.

სწორედ ამ პერიოდში, როცა ქვეყანას ძალიან უჭირდა, ფონდ „დია საზოგადოება საქართველოს“ დახმარებით თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში დაიწყო ქართული ხალხური შემოქმედების კათედრის ფონორქივის საექსპედიციო ჩანაწერების ციფრულ მატარებლებზე გადატანა. ამავე დროს დაიწყო სერიოზული ფიქრი მონაცემთა ბაზის სპეციალური პროგრამის შექმნაზე, რაც მხოლოდ იუნესკოს დახმარებით გახდა 2004 წელს შესაძლებელი.

ჯერჯერობით, სახსრების უქონლობის გამო, სახელმწიფო ფონდებს აკმ-ს ინვენტარიზაციის შესაძლებლობა არა აქვთ, კერძო ფონდები და საერთაშორისო ორგანიზაციები, მაგალითად, ფონდი „დია საზოგადოება საქართველო“, მსოფლიო ბანკი დროდადრო აფინანსებენ გარკვეულ პროგრამებს, მაგრამ ეს იმდენად ფრაგმენტულია, რომ ამას არ შეუძლო ამ სფეროში ამინდის შექმნა.

საზოგადოება აცნობიერებს აკმ-ს დაცვის, ფიქსაციისა და აღწერის აუცილებლობას, მაგრამ იგი, სამწუხაროდ, უკანასკნელ ხანს მეტად პოლიტიზებულია და ნაკლებად იცლის ამ საქმიანობისათვის. ამასთან, საბედნიეროდ, აკმ-ის ტრადიციის მატარებლები, თავად მეტად აქტუალურად მიიჩნევს ამ ტრადიციის შენახვის, თორბიდან თაობაზე გადაცემის პრობლემას. ამის დასტურია მათი აქტიური მონაწილეობა ფიქსაციის პროცესში, რაც საქართველოში შეინიშნებოდა ყოველთვის და გრძელდება დღესაც.

ქვეყნაში აკმ-ს დაცვისა და განვითარების სახელმწიფო პოლიტიკას ყოველთვის ექნება საზოგადოებრივი მხარდაჭერა. სამომავლოდ ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ 2005 წელს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ დაიწყო მუშაობა შესაბამისი საქანონმდებლო ბაზის შემუშავებაზე, რასაც ბიძგი მისცა იუნესკოს 2003 წლის კონვენციამ. სამინისტრომ უკვე გადადგა სერიოზული ნაბიჯები ამ კონვენციის რატიფიცირებისათვის. შექმნილია აკმ-ს დაცვის სახელმწიფო კომისია.

### რუსულან წურწუმია

## ქართული გალობის ერთი საუკუნე

2005 წლის 14 აპრილს თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საკონფერენციო დარბაზში ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია „ქართული გალობის ერთი საუკუნე (1801–1921)“. საულიერო მუსიკათან დაკავშირებული პრობლემატიკა მოხსენების სახით წარმოადგინეს თინაონ უვანიამ, ნინო კალანდაძემ, მაგდა სუხიაშვილმა, დავით შედლიაშვილმა, თამარ ჩხეიძემ და ეკატერინე ონიანმა (ტმკსც); ხათუნა მანაგაძემ (ბათუმის კონსერვატორია); სვიმონ ჯანგულაშვილმა (საქართველოს სამატრიარქოს საეკლესიო გალობის ცენტრი), ჯონ გრემმა (ვესლინის უნივერსიტეტის მუსიკალური განყოფილების სტუდენტი, ფულბრაიტის სტიპენდიანტი) და ბაია შეუძნაძემ (თბილისის კონსერვატორიის მუსიკისტოდნება-საკომპოზიციო ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი).

თამარ ჩხეიძემ მოხსენებაში „რვა ხმის სისტემა ჰქონდა ნუსხებში“ ჰქონდა ნუსხის შემცველი ხელნაწერების შესწავლისა და ურთიერთშედარების საფუძველზე გამოავლინა საერთო ხმის მქონე ერთი სახელობის საგალობლების ინტონაციური სიახლოესე და კომპოზიციური მსგავსება.

დავით შედლიაშვილმა მოხსენებაში „რვა ხმის სისტემის მუსიკალურ-კომპოზიციური თავისებურებები ქართულ გალობაში“ წარმოადგინა აღნიშული სისტემის სხვადასხვა სამგალობლო სკოლის საგალობლებში ასახვის ნორმები. ხმათა აგებულების ერთეულად მუხლია მიჩნეული, რომელიც სხვადასხვა ფუნქციისაა და მათი მონაცელებაც საკმაოდ მკაცრი თანმიმადევრობითაა დაცული. ჩამოყალიბებულია რვა ხმათა ჯგუფები, რომელთაგან ზოგიერთში ერთიანდება სხვადასხვა უანრის საგალობლები.

მოხსენება „საღვთისმსახურო საგალობლების ხმათა (იხსოსთა) სემანტიკის შესწავლისათვის“ წარმოადგინა მაგდა სუხიაშვილმა. საღვთისმსახურო ფუნქციის გათვალისწინებით, შრომის ავტორი შეეცადა აეხსნა საეკლესიო საგალობლების მხატვრული სახის ზოგიერთი

თავისებურება. მისი დაკვირვების ობიექტს XIX საუკუნეში წმინდა ექვთიმე აღმსარებლის (კერძებულიდე) მიერ ხუთხაზიანი ნოტაციის ხელნაწერები, აგრეთვე – ვასილ და პოლიევებროს კარბელაშვილების მიერ შედგენილი სამგალობლო კრებულები წარმოადგენდნენ.

ბათუმის ზ. ფალიაშვილის სახელობის კონსერვატორიის უფროსმა მასწავლებელმა ხათუნა მანაგაძემ თავის მოხსენებაში „ანდრია კრიტლის „სინანულის კანონის“ ქართული ძლისპირები XIX საუკუნის სანოტო ხელნაწერებში“ საინტრენერო ისაუბრა ქართული საღვთისმსახურო პრაქტიკაში ტიპიონური ცვლილებების ფონზე ანდრია კრიტლის „სინანულის კანონის“ შესრულების თავისებურებებზე. ამასთან კრიტლის კანონის სანოტო ჩანაწერის შესწავლის საფულებლებზე დაადგინა კანონის ფორმისქმნადობის ზოგადი პრინციპები.

ნინო კალანდაძემ წარმოადგინა მოხსენება „აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) სამგალობლო ტრადიციების შესწავლისათვის“. თუმის შესავალ ნაწილში მან ისაუბრა აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს რეგიონის) ისტორიის ზოგიერთ საკითხზე და სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით დაასაბუთა მოხაზრება, რომ აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს რეგიონის) საკათალიკოსოში მოქმედ ტაძრებსა და მონასტრებში ქართული გალობის დასავლეური კილო ჭდერდა. 1801-1921 წლებში შექმნილი მიმებ ვითარების მიუხედავად მეზობელი სამეგრელოს მოძღვრალ-მგალობლები თავამოღებით იძროდნენ აფხაზეთის მართლმადიდებლურ ტაძრებში ტრადიციული გალობის შენარჩუნებისათვის.

ეკატერინე თნიანის გამოსვლა „ამბორასი ნეკრესელი – სრული მგალობელი“ საინტერესო მონაცემებს შეიცვადა ამ სასულიერო მოღვაწის შესახებ. მომსენებელმა აღნიშნა, რომ მან – საღვთო წერილში დრმად განსწავლელმა პირმა, მქადაგებელმა და პოეტმა, იმავდროულად მნიშვნელოვანი წელილი შეიტანა ქართული საექლესიო გალობის განვითარებაში.

თინათონ უვანიამ ნაშრომში – „სიმღერა-გალობა – ერქომაიშვილების ოჯახის ცხოვრების წესი“ – ისაუბრა გურიაში ცნობილი მომღერალთა გვარის ტრადიციებზე; წინაპართაგან დატოვებული უდიდესი საგანძურის – დასაგ-

ლურ-ქართული გალობის დაცვისა და განვითარების საკითხებზე.

სვიმონ ჯანგულაშვილმა მოხსენებაში „ეპისკოპოს სტეფანე (ვასილ) კარბელაშვილის სანოტო ხელნაწერთა არქივი“ წარმოადგინა ამ არქივში დაცული მასალის ზოგიერთი საგულისხმო ასკექტი. გამოსვლის ბოლოს ყოვლადწმინდა სამების საკათედრო ტაძრის გუნდის წევრთა მიერ აჯღერდა ამ ხელნაწერების მიხედვით მომზადებული 3, 4, 5, 6, 7, 8, 11, სმიანი საგალობლები.

ბაია ჟუვუნაძის მოხსენებაში „XIX საუკუნის 60-90-იანი წლების ქართული პერიოდული პრესის მიხედვით განხილულია 1860 წელს თბილისში დაარსებული „ქართული საეკლესიო გალობის აღმადგინებელი კომიტეტისა“ და ფ. ქორიძის მოღვაწეობა 80-90-ან წლებში.

ჯონ გრემმა დაწვრილებით ისაუბრა მაქსიმე შარაძის – მე-19-20 საუკუნის ცნობილი ქართველი გამომცემლის ცხოვრებაზე და შეაფასა მისი დვაწლი ტრადიციული ქართული საეკლესიო გალობის აღმადგინებელი კომიტეტისა“ და ფ. ქორიძის მოღვაწეობა 80-90-ან წლებში.

როგორც წესი, სასულიერო მუსიკა კონფერენციებსა და სიმპოზიუმებზე საეროსთან ერთად იყო ხოლმე წარმოდგენილი. სასულიერო და საერო მუსიკის მრავალ ხმიანობისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია პირველად 2001 წელს ჩატარდა, ეს პრობლემატიკა განიხილებოდა ტრადიციული მრავალ ხმიანობის I და II საერთაშორისო სიმპოზიუმებზეც. ამჯერად კონფერენცია მხოლოდ სასულიერო მუსიკის საკითხებს მიეძღვნა. ამ ღონისძიების ორგანიზატორის, ქართული ხალხური შემოქმედების კათედრის გამგის, პროფესიონალ მანანა ანდრიაძის აზრით, თემატიკის მრავალფეროვნებამ და აუდიტორიის ინტერესმა დაადასტურა, რომ ასეთი კონფერენციები მომავალშიც უსათუოდ უნდა გაიმართოს. სასულიერო მუსიკა ბევრ ამოუცნობ საკითხს და შეუსწავლელ პრობლემას მოიცავს. სასულიერო, რომ ყოველწლიურად მოხდეს მიღწეული შედეგების ურთიერთგაზიარება და პუბლიკციების სახით, ამ დარგის მკაფიოება ნაშრომების გაცნობა ფართო საზოგადოებისათვის.

**ნინო ნიკოლეგიშვილი**

## ფოკლორული და სასულიერო მუსიკის ფესტივალი ბათუმში

2005 წლის 12-13 მაისს ქალაქ ბათუმის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში ჩატარდა „ფოკლორული და სასულიერო მუსიკის I ფესტივალი“, რომელსაც კონსერვატორიასა და ქ. ბათუმის მერიის მიერ იყო ორგანიზებული. ღონისძიება სამეცნიერო კონფერენციისა და ფოლკლორული კონცერტებისაგან შედგებოდა.

სამეცნიერო კონფერენციაში, რომელიც ქართულ საერო და სასულიერო მუსიკის საკითხებს ეძღვნებოდა, მონაწილეობას იღებდნენ ტრადიციული მრავალხმიანობის კალევის საერთაშორისო ცენტრის (ტმკსც), საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის, საქართველოს საპატრიარქოს გალობის ცენტრის, ბათუმის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსმცოდნებობის კათედრის პედაგოგები და მეცნიერ-თანამშრომლები; ასევე – ქართული საეკლესიო მუსიკის ახალგაზრდა ამერიკელი მკლევარი, „ფულბრაიტის“ სტიპენდიანები ჯონ გრემი.

ნინო კალანდაძემ (ტმკსც) წაიკითხა მოხსენება „გლობის ზარი დასავლეთ საქართველოში“, რომელშიც განიხილა მიცვალებულის დაკრძალვის რიტუალთან დაკავშირებული მრავალხმიანი სიმღერის „ზარის“ ფუნქციის, სქმანტიკისა და არტიკულაციის პრობლემები.

ნატო ზუმბაძემ (ტმკსც) მოხსენებაში „საბავშვო რეპერტუარი და ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლები“ წარმოაჩინა ბავშვთა ანსამბლებთან მუშაობის თავისებურებები და ბავშვთა რეპერტუარის მივიწყების ტენდენციასთან დაკავშირებული პრობლემები;

მაგდა სუხიაშვილის (ტმკსც) მოხსენე-

ბა „ერთი ძეგლი ქართული სამუსიკო ტერმინის შესახებ“ ეხებოდა შუასაუკუნეების ქართულ წერილობით ძეგლებში გამოყენებულ ტერმინ „მორთულების“ განმარტებას, რომელიც ერთ-ერთი მნიშვნელობით მრავალხმიანობის აღმიშვნელად მოიაზრება;

ნანა ვალიშვილის (სფსც) მოხსენებაში „რაედენ ხუნდაძის ბიოგრაფიის დეტალები“ გაშექმნებულია ცნობილი მგალობლისა და საგალობელთა აღმწერის, საზოგადო მოღვაწის რაჭებ ხუნდაძის ცხოვრების ამსახველი აქმდე უცნობი ფაქტები;

ლუარსაბ ტოგონიძის (სსგც) მოხსენება „ქართული საეკლესიო გალობა ათონის წმინდა მთაზე XIX-XX საუკუნეებში“ ეძღვნებოდა ათონის ქართველთა მონასტრის წინამდღვარსა და განმაახლებელს ბენედიქტ ბარკალაიას, რომლის ხელშეწყობით ამ სავანეში ცნობილ ქართველ მგალობელთა მთელი თაობა განისწავლა;

ხათუნა მანაგაძის (ბსკმც) მოხსენება „საეკლესიო ხმის საკითხისათვის ანდრია კრიტელის „სინანულის კანონის“ ქართული თარგმანების მიხედვით“ ეხებოდა ხმის შეცვლის მიზეზებს გორგი და ექვთიმე მთაწმინდელების თარგმანების მიხედვით, ასევე საეკლესიო ხმის ესთეტიკურ-მხატვრული ახსნის სხვადასხვა ვარიანტებს;

თამარ ჩხეიძის მოხსენება „რვა-ხმის სისტემა ჭრელთა ნუსხებში“ ეხებოდა ძველი ქართული მუსიკალური დამწერლობის ერთ-ერთი მოვაიანო პერიოდის სახეობას „ჭრელებს“, კერძოდ – მათ მიმართებას მართლმადიდებლური ეკლესიის კანონიკური რვა-ხმა სისტემისადმი;

სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობნენ ასევე ეპატერინე ონიანი, თინათინ უვანია (ტმკსც) და ჯონ გრემი, რომელთა თქმებიც რამდენიმე დღით ადრე თბილისში ჩატარებულ სასულიერო მუსიკისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე იქნა წაკითხული.

საკონფერენციო სხდომების შემდეგ იმართებოდა ფოლკლორული კონცერტები. მათში მონაწილეობდნენ: ანჩისხატის ტაძრის გუნდი, ანსამბლი „მხეთამზე“, ანსამბლი „ბასიანი“ და საპატრიარქოს სამგალობლო ცენტრთან არსებული ქალთა ანსამბლი, რომელიც პირველად წარსდგა ფართო მსმენელის წინაშე.

ფესტივალის პირველსავე დღეს ბათუმის კონსერვატორიაში გაიხსნა ფოტოგამოფენა „ქართული გალობის მოამაგენი“, რომელიც ლუარსაბ ტოგონიძემ (საპატრიარქოს გა-



ლობის ცენტრი) მოამზადა. გამოფენაზე, სხვა მასალებთან ერთად, წარმოდგენილი იყო ქართული გალობის მოამაგეთა – საერო და სასულიერო პირთა ფოტოები.

ფესტივალი ორგანიზაციორთა განზრახვით ტრადიციული სახეს მიიღებს. ეს უთუოდ ხელს შეუწყობს ბათუმის სახელმწიფო კონსერვატორიაში ტრადიციული მუსიკის კვლევის შემდგომ განვითარებას, რასაც წარსულშია. მსხალაძისა და ჯ. ნოდაიდელის სამეცნიერო და შემკრებლობითი მოღვაწეობის სახით დიდი ტრადიციები გააჩნია. ბათუმის კონსერვატორიაში ამჟამად ყალიბდება ფოკლორის კათედრა. მზადება ორი დიპლომი აჭარის ხალხური სამუსიკის შემოქმედების კვლევის ისტორიის შესახებ.

#### ნინო ნანეიშვილი

### ბავშვთა და მოზარდთა გუნდების III რესპუბლიკური ფესტივალი

2005 წლის 8-9 მაისს ბათუმში ჩატარდა ბავშვთა და მოზარდთა გუნდების III რესპუბლიკური ფესტივალი. მისი ორგანიზაციორები იყვნენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო და აჭარის მუსიკალური საზოგადოება. ფესტივალი მასპინძლობდა ორი განსხვავებული ხასიათის – ფოკლორულ და პროფესიულ საგუნდო კოლექტივების. მასში მონაწილეობდნენ საბავშვო ანსამბლები, როგორც საკუთრივ აჭარიდან (შუახევი, ბათუმი, ჩაქვი, ქობულეთი, ჭახათი, ქედი), ისე – საქართველოს სხვა რეგიონებიდან (ქუთაისი, რუისი, ფოთი, ზუგდიდი, ქარელი, თბილისი). უკრის მუშაობაში მონაწილეობდა ტმკსც-ის წარმომადგენელი ნატალია ზუმბაძე.

ფესტივალზე წარმოდგენილი ბავშვთა ფოკლორული ჯგუფების უმეტესობა რეპერტუარითა და საშემსრულებლო მანერით მამაკაცთა ანსამბლების ასლი იყო. გამონაკლის წარმოადგენდა ქუთაისის სამუსიკო სახწავლებელთან არსებული ჯგუფი „ნაი-ნაი“ (ხელმძღვანელი ქეთევან ბანცაძე), რომელმაც ტრადიციულ შემსრულებლობასთან სიახლოვით, ბუნებრიობითა და უშეალობით უიურის წევრთა მოწონება დაიმსახურა.

#### ნატალია ზუმბაძე

### ფოლკლორული ფესტივალი „არტგენი“

20-26 ივნისს თბილისში, დია ცის ქვეშ ეთნოგრაფიული მუზეუმში ჩატარდა ხალხური შემოქმედების ფესტივალი „არტგენი“, რომელიც იმართება „თემის დაცვის და კულტურული განვითარების კავშირის“ ინიციატივით. ამ ორგანიზაციის ძირითადი მიზანია გარემოსა და ეროვნული ფასეულობების მიმართ საზოგადოებაში ჯანსაღი დამოკიდებულების ჩამოყალიბება.


ფესტივალი ყოველწლიურად ტარდება, წლებს – მეორედ. შარშაბიდები ფესტივალი ქართულ ოჯახებში შემორჩენილ, ჯერ ისევ ცოცხალ სასიმღერო ტრადიციებს მიეძღვა, წელს კი აქცენტი ხალხურ რეწვაზე იქნა გადატანილი.

საქართველოს თთქმის ყველა პუთის რეწვის ცნობილმა ოსტატებმა დია ცის ქვეშ მუზეუმში მოყარეს თავი. 20 ივლისიდან 26 ივლისის ჩათვლით გამოფენა-გაყიდვა ეწყობოდა, სადამობობით კი კონცერტები იმართებოდა: როგორც ტრადიციული ქართული მუსიკისა, ანსამბლებისა და ეთნოფორების შესრულებით, ასევე – თანამედროვე მუსიკალურ მიმდინარეობებთან სინთეზირებული ეგრეთწოდებული ქართული „ფოლკისა“.

„არტ-გენის“ მიზანია ტრადიციული ფოლკლორი წარმოადგინოს ჩვეულ ყოფით გარემოსთან მაქსიმალურად მიახლოებულ პირობებში და ამასთან, ასახოს ფოლკლორში მიმდინარეობებთან სინთეზირებული „არტ-გენის“ მიზანია ტრადიციული ფესტივალის და გონიოფორების შესახებ.

ფესტივალის ორგანიზაციები ზაზა კორინთელი და გიორგი ბარამიძე წლევანდელი ფესტივალის დასრულების შემდეგ აპირებენ გამოსცენ ფესტივალის კატალიგირება, სადაც მოთავსებული იქნება დაწვრილებითი ინფორმაცია „არტ-გენში“ მონაწილე ხალხური რეწვის ოსტატებისა და ეთნოფორების შესახებ.

#### ბაია ჯუჯუნაძე



## ხობის II საერთაშორისო ფესტივალი „სიმღერა სამეგრელოზე – 2005“

2005 წლის 17-19 ოქტომბერის ქალაქ ხობიში ჩატარდა II საერთაშორისო ფესტივალი „სიმღერა სამეგრელოზე“. მისი მთავარი ორგანიზატორები იყნენ ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრი (პრეზიდენტი – ნიკო ლევაშვილი, სამსატევო საქაოს თავმჯდომარე – ანთონ ერქომაიშვილი) და საერთაშორისო საქველმუქულო ფონდი „ხობი“ (პრეზიდენტი – ხობის მაჟორიტარი დავით ბერიძე). ბერიძის ბერიძემანიშვილი და სერგეი ჩატარდა სამეგრელოზე სამსატევო კონცერტზე. ამავე სადამოს ხობში გაიმართა ახალგაზრდული შოუ.

17 ოქტომბერის ზუგდიდში, ფოთსა და სერგეიში ჩატარდა სამეგრელოზე კონცერტი. ამავე სადამოს ხობში გაიმართა ახალგაზრდული შოუ.

18 ოქტომბერის ხობის კულტურის სახლში მოქმედ ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრის მიერ გამოცემული წიგნის – „ქართული ხალხური სიმღერის ოსტატები. სამეგრელო“ (სამი წიგნი), სამი სანოტო კრებულის – „ქართული ხალხური მუსიკა სამეგრელო“ (III წიგნი) და „შეკისწავლოთ ქართული ხალხური სიმღერა მეცნიერების“ (ოსტატო 4 კომაქტების კონცერტი) – პრეზენტაცია აღნიშნული გამოცემის პრეზენტაცია ფესტივალის კულტურული მოქმედების შეიძლება მივიჩნიოთ (ფინანსურებულ, რომ წინა გამოცემებთან ერთად ეს წიგნები დაინტერესებული მკონცენტრირებული სელექციის სახლშისაწყობი გახდება). საგანგაბოდ დღე ფესტივალისთვის გამოვდა მაღალ პოლიტიკურ დონეზე შესრულებული აღმანახი.

პრეზენტაციის შემდეგ ჩატარდა კლასიკური მუსიკის კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ: მაყვალა ქსარაშვილი, ზურაბ ხოტილაშვილი, ომარ გურჯაევი და დავით ბერიძე.



**ფესტივალის  
უხუცესი  
მონაწილე  
პოლიკარპე  
ხუბულაგა  
(მარჯვნივ)**

მოსკოვის ქამურელი ორგანიზატორი (დირექტორი – კლადის ბერიძე) და სხვები.

18 ოქტომბერის სადამოს ხობის სტადიონზე ფესტივალი სახეობოდ გაიხსნა საქართველოსა და მოსკოვის მოდერნული საქართველოს მომღერლებთან ერთდ კონცერტში მონაწილეობდნენ ფოლკლორული ანსამბლები: „წინადაღლი“ (ოვლადი), „კოლხეთი“, „მომავალი კოლხეთი“ (ხობი), „ლაზარე“ (ცერეთი), „პარიზა“, „ოდისი“ (ხობი), „რაჭა“ (ონი), „სამურზახნო“ (გალი), „ფოთი“ (ფოთი), „მათუმ“ (ბათუმი), „რუსთავი“, „მოიხბი“, „ალილო“, „ულაზიარი“ (თბილისი), „ანგისი“ (სოფ. დევისი), თბილისის ასალებების ტაძრის მგალობელთა გუნდი, თბილისის სამხატვრო აკადემიის, ჩხოროწყვეტისა და ახალქალაქის ფოლკლორული ჯგუფები, აგრეთვე ქართული ხალხური სიმღერის უცხოულ შემსრულებელთა ანსამბლი „ოქროს სტუმრები“ (თბილისი).

19 ოქტომბერის გაიმართა გალა-კონცერტი, რომელსაც დაესწრო საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკშელი.

ხობის ფესტივალმა დაგვანახარომ სტადიონის აღგილი არ არის (ქართულ სინამდვილეში მაიც), სადაც ფოლკლორული კონცერტები უნდა იმართებოდეს ხალხური შემსრულებლები, ჩვეულებრივ, ხმის გამაძლიერებლების გარეშე ძღვრიან. ამიტომ ანაშებლების დიდი ნაწილი სცენაზე განთავსებულ მიერთუონებს თოთქმის ვერ იყენებდა და სტადიონზე მუვა მსმენელმდე მათი ხმები ხშირად გაჭირვებით, კოველგვარი ბალანსის გარეშე აღწევდა (ეს ტექნიკური სარევენი წლიდან წლამდე ფესტივალიდან ფესტივალმდე მოუგარებელია). არც საესტრადო და ხალხური მუსიკის ერთ კონცერტში გაერთიანება მიგვიჩნია გამართლებული მოსკოვი, რომ პლუსიან ფონოგრამაზე შესრულებულ მდარე საესტრადო ნომრებს შორის მოქმედები ხალხური სიმღერები აუტირებული

## ქართული გალობის ახალი ალბომი

თინერჯერების (ისინი მსტენელთა დღდ ნაწილს წარმოადგენდნენ) ხმაურში იყარგებოდა. ამან, გარკვეულ-წილად, ჩრდილში მოაქცია ფოლკლორული ანსამბლები და ხალხური სიმღერის მოსამენად მისული მსტენელისა და შემსრულებლის გულისტყვილი გამოიწვა. (სტალინშე დამოწმუნებული კრანგბიდან სახლოგანი მეტრები ლოტბარები და მომღერლები – ჭუკუ ლოლუა, კირი გვაჭკორი, ელენე ჭუბაძრია, ნოკო ხურცა და სხვები, გურამ დოჩანაშვილის გმირისა არ იყსისე გამოყურებოდნენ, როგორც სიტყა „მშასლებელ“ უხერხელობა შეიქმნა იმის გამოცრომი გალაზენცერტის პროგრამის თანამიმდევრობა იქვე კონცერტის შედეგობისას (მაფურებლისთვის გაუზიარი მიზეზთ) ქერადის მომღერლების სასარგებლოდ იცვლებოდა. ამის გამო ქრომა ფოლკლორულმა ჯგუფმა გამოსვლა ველარ მოასწრო (დაუდამდათ და შინისაკენ გაემზარენ), ხოლო სახლებანოშელი, მხცოვგანი ლოტბარის ანსამბლი საკონცერტო პროგრამიდან ამოვარდნას დღის გადაურჩა.

საწეუსაროდ, ვერც ასეთი სახით ჩატარებული ფესტივალი იქცვა ზნეობის გაკვთილად (როგორც ამს ალმანახი გვამცნობს) და ვერც ახალი თაობა ეზიარება ხალხური სიმღერის მადლის. ისე წე ვიზამი, რომ ფესტივალის მარჯვედ შერჩევლი სახლწოდებით მონიშებული უფლება თუ თაფსუფლება, სხვადასხვა ფარისა და მიმართულების მჟეივის ერთი ღონისძიების ფარგლებში აუდერებისა, ფოლკლორის საზიანოდ (ნებსით თუ უნებლიერ) გამოვყენოთ. სხვათა შორის, იმასაც დავძენთ, რომ საფესტივალო განრიგით გათვალისწინებული ზოგიერთი ღონისძიების ორთაში სათის დაგვანებით დაწყება ჩეჭულ ქართულ მოწესრიგებლობას კი შეეფრება, მაგრამ სტატუსს – „საერთაშორისო“ – ველარ ესადაგება.


კონცერტებმა კიდევ ქრთხელ დაგვარწმუნა, თუ რაოდენ აუცილებელი და გადაუდებელი საჭმა სწორად ორგანიზებული, აუთენტიკური ფოლკლორული ფესტივალების ჩატარება. ფესტივალის ორგანიზორთა შემართება და სასარგებლო საჭმის კოტების სურვილი ამის იმედს გვიტოვებს.

**ქართული მთაშვილი**

თბილისის ანჩისხატის ტაძრის გუნდმა გამოსცა სერია „ქართული გალობის“ მე-3 ტომი – აღმოსავლეთის სკოლა (ქართლ-კახეური კილო), რომელშიც შედის მართლმადიდებლური დვოისმსახურების ციკლის – მწერიცისარი-წირვის – საგალობელთა ნოტები, გადმოცემული მმები კარბელაშვილებისა და ალექსანდრე მოლოდინაშვილის მიერ XIX-XX საუკუნის მიჯნაზე.

კრებულში შედის 239 ნიმუში და ერთვის თბილისის ანჩისხატის ტაძრის მგალობელთა ფონონხანაწერი. კრებული შეადგინა, წინასიტყვაობა დაურთო და გამოსაცემად მოამზადა მგალობელთა გუნდის რეგენტმა, ტმკსც-ის თანამშრომელმა მალხაზ ერქვანიძემ. სანოტო და სიტყვიერი ტექსტი დააკაბადონა ლევან ვაშაძიძემ. კრებულს შენიშვნები დაურთეს და კორექტურაში მონაწილეობდნენ ტმკსც-ის წევრები ქეთევან მათიაშვილი, თინათინ ჟვანია და მაგდა სუხიაშვილი.

საინტერესოა, რომ ე.წ. „კარბელაანთ კილოს“ (კილო, რომელიც კარბელაშვილების მგალობელმა ოჯახმა შემოინახა), უშუალო კავშირი აქვს ანჩისხატის ტაძართან, რადგან სწორედ აქ მდებარე საკათალიკოსო სკოლი-



დან ხდებოდა გალობის მცოდნეთა განფენა  
მოქლეს აღმოსავლეთ საქართველოში. აღსა-  
ნიშნავია ისიც, რომ წინა საუკუნის 80-იან  
წლებში სწორედ თბილისის ანჩისხატის ტაძრის  
მგალობელთა გუნდმა დაიწყო ტრადიციული  
ქართული გალობის აღორძინების უაღრესად  
მნიშვნელოვანი საქმე.

გამოცემაში მქები კარბელაშვილების მიერ გადმოცემული საგალობლების მიხედვით XIX საუკუნის ბოლოს გამოცემული კრებულების გარდა გამოყენებულია ა. მოლოდინა-შვილის ხელნაწერი „ეკლესიური გალობა“, დავით მოლოდინაშვილის (ალექსანდრეს შვილის) ხელნაწერი და ვასილ კარბელაშვილის არქივი პ. კეპელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტიდან.

## ტმპსც—ის ახალი გებსაიტის შესახებ

2004-2005 წლის მიჯნაზე შემუშავდა  
ტმკცის ახალი ვებ-საიტი შემდეგი მისამართით:  
**[www.polyphony.ge](http://www.polyphony.ge)** საიტი ორენოვანია (ქართული  
და ინგლისური) და მოიცავს შემდეგი ბძრების:

**მთაგარი გენერლი (საქართველოს მუსიკალური დიალექტითა რეკით – შესაბამისი ხმოვანი და ვიზუალური ილუსტრაციებით);**

**ცენტრი** (ტრადიციული მრავალხმო-  
ანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის,  
თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის  
შესახებ, საქართველოში მუსიკალური ფოლ-  
კლორისტიკის ისტორია, ტმპსც-ის საკელექ-

შემკრებლობითი მუშაობა);

სიახლენი (საქართველოში ფოლკლორისტული მოღვაწეობის ახალი ამბები);

სიმპოზიუმი (ტმქსც-ის საერთაშორისო  
სიმპოზიუმების, აგრეთვე ადრეული საერთა-  
შორისო კონფერენციების შესახებ ინფორმა-  
(კია);

მრავალხმიანობა მსოფლიოში (ტექსტი იძებულება ბიულეტენში, გვერდი მომზადების პროცესში);

საერო მრავალხმიანობა (ქართული ხალხური მრავალხმიანობის შესახებ: ხალხური მჟავიკის ისტორიული წყაროები, ქართული მჟავიკალური დიალექტები, მრავალხმიანობის ფორმები, ქართული ხალხური მჟავიკის შემსრულებლობის ფორმები, ქართული ხალხური მჟავიკის შემსრულებლობის ფორმები, ქართული ხალხური ქალაქური ქალაქური ფოლკლორი, ქართული ხალხური საკრაკები);


სასულიერო მრავალხმიანობა (ქართული სასულიერო მუსიკის ისტორია, ქართული გალობის სკოლები, იოანე პეტრიშვილის შესახებ);

გამოცემები (გვერდი მომზადების პრო-ცესშია);

შემსრულებლობა (გვერდი მომზადების პროცესში);

**სასარგებლო რესურსები** (გვერდი მომზადების  
პროცესშია);

**საკონტაქტო ინფორმაცია**  
გებ-გვერდის გებ-ოსტატი და დიზაინერია  
ლევან წერწუმია (ორგანიზაცია „დიზაინერია“ 1999 წელს დაარსებულია) 1999 წელს დაარსებულია



ქართული ხალხური  
მუსიკის მონაცემთა  
ბაზის ახალი  
პროგრამა


2004 წლის ბოლოსათვის ტმკსც-ის წევრებმა 0766სპო-ს დახმარებით ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ფოლქლორის განყოფილების არქივის გამზის, ელგუჯა დადუნაშვილის დახმარებით შეიმუშავეს კრიტერიუმები, რომელზე დაყრდნობითაც მოხერხდა ქართული ხალხური მუსიკის მონაცემთა ბაზის კომპიუტერული პროგრამის შემუშავება (მომსახურე კომპიუტერული პროგრამა: "DS-Folklore\_2M"). აღნიშნული კრიტერიუმების დადგენა საკმაოდ ხანგრძლივი პროცესი გამოდგა. მონაცემთა ბაზის კომპიუტერული პროგრამაში შეადგინა ლაშა ცხადაძე.

მონაცემთა ბაზას გააჩნია შემდეგი  
საძიებო ველები: რიგითი ნომერი, შიფრი,  
სათაური, საწყისი ფრაზა (როგორც შინა-  
არსიანი, ასევე – უშინაარსო, კერძოდ – გლო-  
სოლალიები), თემატურ-ჟანრული გაერთიანება,  
ატრიბუტიკა (ნიმუშის შესრულების დროს გა-  
მოყენებული ატრიბუტები – სანთელი, ნახშირი,  
დანა, ნიღაბი, ცხოველის ტყავი და ა.შ.), შესრუ-  
ლების ავთენტურობა (ტრადი-  
ციულ ხალხურ შესრულებასთან  
სიახლოვის ხარისხი), ნიმუშის  
სახეობა (1.ხმიერი, 2.საკრავიერი,  
3.პლასტიკური), შემსრულებელთა  
რაოდენობა (1.ხოლო, 2.დუეტი,  
3.ტრიო 4.გუნდი), შესრულების  
ფორმა (1.მონაცემები, 2.არა-  
მონაცემები), ხმების რაოდენობა,  
მრავალხმიანობის ფორმა (1.პურ-  
დონული 2.ოსტინატური 3.პარა-  
ლელური 4.კონტრასტული 5.კოლექ-  
ტური), საკრავი, საკრავის  
წყობა, რეპერტუარის ძალის

(1.ქალთა 2.მამაკაცთა 3.შერეული 4.ბავშვთა  
5.შეუზღუდვავი), შემსრულებელთა ჯგუფი  
(1.ქალთა 2.მამაკაცთა 3.შერეული 4.ბავშვთა),  
ეროვნული პუთვნილება (ნიმუშისა), დიალე-  
ქტი (სამუსიკო), ჯგუფის ხელმძღვანელი,  
შემსრულებლის ვინაობა, ჩაწერის ადგილი,  
ჩაწერის თარიღი, ჩამწერი, ტექნიკური მახასი-  
ათებელი (საჩქარებული 2.თავნაკლები 3.პოლონ-  
აკლები 4.გაურკვეველი ქრერადობის 5.ხმაუ-  
რიანი ფონით), აღმწერი, შენიშვნა, ტექსტი  
(ცალკე ფაილის სახით სიტყვიერი ტექსტი,  
ნიმუშის ნოტები და აუდიო/ვიდეო ჩანაწერი).

მონაცემთა ბაზის დახვეწიაზე მუშაობა  
ობა დღესაც გრძელდება, მაგრამ მასში უკვე  
ასახულია ქართული ხალხური სიმღერის, და-  
საკრავის, თუ სხვა ხმოვანი მასალის 2 ათასზე  
მეტი ნიმუში, რაც კომპიუტერში საძიებელი  
პროგრამის აღრეულ ვერსიაზე დაყრდნობით  
მოხერხდა. ახლო მომავალში ამ ახალი პრო-  
გრამის ბაზაზე გათვალისწინებულია მონაცემთა  
ბაზის ინტერნეტვერსიის შემუშავება, რომელ-  
იც განთავსდება ტექსტის ოფიციალურ ვებ-  
საიტზე – [www.polyphony.ge](http://www.polyphony.ge).

მონაცემთა ბაზის საძიებელით (და  
არა – სარედაქტორო რეჟიმით) სარგებლობა  
ოპერატორის დახმარებით ტმკსც-ის ნებისმი-  
ერ სტუმარს შეუძლია.



## ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის პრეზენტაცია

„ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი წარმართავს ფოლკლორის სახელმწიფო პოლიკურას საქართველოში“ – განაცხადა საქართველოს კულტურის მინისტრმა გოგა გაბაშვილმა 2004 წლის 29 დეკემბერს ფორაქიშვილების დარბაზში გამართულ განახლებული ხალხური შემოქმედების ცენტრის პრეზენტაციაზე, რომელსაც რეორგანიზაციის შემდეგ ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი ეწოდა.

ხალხური შემოქმედების ამ სავანეს თითქმის სამოცდათო წლიანი მდიდარი ისტორია აქვს. მის სათავეებთან იდგნენ და მასთან თანამშრომლობდნენ: ვახტანგ კოტეტიშვილი, მიხეილ ჩიქოვანი, ქსენია სიხარულიძე, დიმიტრი არაყიშვილი, შალვა შშევლიძე, თამარ მამალაძე, სერგი მაკალათია, ივანე ჯავახიშვილი, დავით ჯავრიშვილი, ლილი გვარამაძე, ავთანდილ თათარაძე, მიხეილ შებაშიკელი, გრიგოლ ჩივაძე, ვალერიან ცაგარეიშვილი, გრიგოლ ჩხიკვაძე, ვლადიმერ ახობაძე, გრიგოლ კოკელაძე, ოთარ ჩიჯავაძე, კახი როსებაშვილი... სწორედ მათი ძალისხმევით შეიქმნა ხალხური შემოქმედების სახლის მდიდარი და უნიკალური არქივი (ხალხური სიმღერები, საგალობლები, ზეპირ-სიტყვიერება, სამეცნიერო ნაშრომები...).

ტრადიციულის, მთვიწყბოულის, დაკარგულის ადგენა – გაცოცხლება და მისი შემქმნელი ხალხისთვის უკან დაბრუნება მუდამ იყო და არის ცენტრის საქმიანობის ძირითადი მიზანი და მიმართულება. ამ ტრადიციების გაგრძელება და განახლება, თანამედროვე ტექნიკური და საქომუნიკაციო საშუალებების ფოლკლორის სამსახურში ჩაეცენება, ახალი პრინციპებითა და თანამედროვე მენეჯმენტით მართვა დაისახა მიზანად ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ახალმა ხელმძღვანელობამ, მისმა ახალგაზრდა და დირექტორმა, ანსამბლ „ლაშარის“ ხელმძღვანელმა გიორგი უშიკიშვილმა.

პრეზენტაციაზე სიტყვით გამოვიდა ტმკცის დირექტორი რუსულან წურწუმია. მან იმედი გამოთქვა, რომ კვლავაც გაგრძელდება ის ნაყოფიერი თანამშრომლება, რომელიც

აკავშირებდა თბილისის კონსერვატორიის ქართული ხალხური სამუსიკო შემოქმედების კათედრას (რომლის ბაზაზეც დღეს ტმკც ფუნქციონირებს) და ხალხური შემოქმედების რესპულიკურ ცენტრს (რომლის ბაზაზეც დღეს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი ჩამოყალიბდა). სიტყვით გამოვიდნენ აგრეთვე ანზორ ერქომაიშვილი (ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრი) და გახემწი კოტეტიშვილი (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი). დარბაზის მშვენიერ ფოკლორულ გარემოსა და საღამოს ამაღლებულ განწყობას კარგად მიესადაგა ლელა თათარაიძის, ანსამბლების „ლაშარის“ და „მზეთამზის“ მიერ შესრულებული ხალხური სიმღერები.

მიმდინარე წელი თავისებური გარდამავალი პერიოდია – ტექნიკური აღჭურვილობის შექმნის, მონაცემთა ბაზისა და ინტერნეტ - სისტემის მომზადების, ახალი პროექტების შემუშავების პერიოდი. მთავარი კი ის უნიკალური პროექტია, რომელსაც „XXI საუკუნის ოქროს ფონდი“ ჰქონია: კომპლექსური ექსპედიციები, ფესტივალები, დათვალიერებები, უნიკალური გამოცემები. . . ერთი სიტყვით, როგორც ბატონმა ზურაბ ჯვანიამ პრეზენტაციაზე ბრძანა, „იწყება ახალი ეტაპი ქართული ფოლკლორის დაცვის, შენარჩუნებისა და მსოფლიოსთვის მისი გაცნობის თვალსაზრისით“.



## ლილგაკების კოლექციის გადასარჩენად

### თანამშრომლობა ვენის ფონოგრამარქიზთან

შემკრებლობითი მუშაობა ხალხური ზეპირსიტყვიერებისა და მუსიკალური ფოლკლორის სფეროში XIX საუკუნის 70-ანი წლებიდან დაიწყო. 1901 წელს კი ფონოგრაფით პირველი ჩანაწერი გააკვთა დიმიტრი არაყიშვილმა. ფონოგრაფზე ჩანაწერი კეთდებოდა ცვილის ლილგაკებზე. ეს ლილგაკები დღემდე არის შემონახული საქართველოს სახელმწიფო არქივში, ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში, თეატრის, მუსიკისა და კინოს სახელმწიფო მუზეუმსა და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში. მათზე ჩაწერილი სიმღერებიდან, სავარაუდოდ, მხოლოდ ცალკეული ნიმუშებია გაშიფრული, ხოლო ლილგაკების ასაუდერებელი აპარატურა ჩვენში აღარ არსებობს.

ამის გამო თითქმის ნახვარი საუკუნეა ქართველი ფოლკლორისტებისათვის მიუწვდომელია ის უძვირფასების მუსიკალური მასალა, რომელთა გამომზეურება არა მარტო გააძლიდობდა თანამედროვე ქართული საზოგადოების წარმოდგენას ეროვნულ მუსიკალურ მემკვიდრეობაზე, არამედ დიდად დაგვეხმარებოდა ჩვენი უნიკალური ტრადიციული პოლიფონიის კვლევაში.

90-ან წლებში ბ-ნმა კუპური ჭოხონელიძემ და ბ-ნ ანზორ ერქომაიშვილმა ქა-

როველ ფიზიკოსებსაც მიმართეს თხოვნით სპეციალური აპარატის შექმნის შესახებ, თუმცა საჭირო სახსრების უქონლობის გამო ეს იდეა ვერ განხორციელდა.

2005 წლის ნოემბერში თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორმა პროფ. მანანა ლიოჯაშვილმა და ტქისცის დირექტორმა პროფესორმა რუსულან წურწუმიამ თხოვნით მიმართეს ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიის ფონოგრამარქივს ვენაში, რომლის დირექტორმა დოქტორმა დიტრიქტ შულერმა დიდი დაინტერესება გამოიჩინა ჩვენი კოლექციის მიმართ. იგი დაგვპირდა ამ მასალის დამუშავებას თანამედროვე ტექნოლოგით, რისი დიდი გამოცდილებაც გააჩნია მსოფლიოში ცნობილ ამ დაწესებულებას. მოლაპარაკებებში ჩაერთო ვენაში მცხოვრები ჩვენი თანამემამულე, მუსიკისმცოდნე ნონა ლომიძე, რომლის დახმარებით ფონოგრამარქივში სახინჯად გაიგზავნა ორი ლილგა კონსერვატორიის სალხური მუსიკალური შემოქმედების კათედრის საარქივო ფონდიდან.

საქართველოში არსებული ლილგაკების კოლექციის გადარჩენის გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით, მიუხედავად ფინანსური პრობლემებისა, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიამ საქართველოში მოიწვია ფონოგრამარქივის აუდიო ინჟინერებისულებაზი ბ-ნი ფრანც ლეხლაიტნერი, რომელიც ერთი კვირის განმავლობაში (7-14 ივნისი) სტუმრობდა ჩვენს დედაქალაქს. იგი არის გამოცდილი სპეციალისტი, რომელიც უკვე 90 წელია მუშაობს ასეთი ტიპის ლილგაკების (ცდლინდრების) აღდგენასა და აუდირებაზე ბატონი ლეხლაიტნერმა ამ ხნის განმავლობაში წარმატებით განახორციელა ლეიდენის უნივერსიტეტის, პეტერბურგის, სენ-მარტინის, პრადის, ბარსელონის, ხარკოვისა და სხვა კოლექციების აღდგენის პროცესში.

ბატონი ლეხლაიტნერი გაეცნო და აღრიცხა თბილისში არსებული რამდენიმე კოლექცია. ყველაზე ბევრი ლილგა მოიპოვება



ბ-ნი ლეხლაიტნერი (მარჯვენა) ტმკსცის წევრებთან ერთად

საქართველოს კინოს, მუსიკისა და თეატრის მუზეუმში, სადაც ინახება და არაყიშვილის ფელაზე ადრინდელი ჩანაწერები და ცნობილი ქართველი კომპოზიტორის შალვა მშველიძის კოლექცია (სულ 198 ლილვაკი); საქმაოდ დიდი კოლექციებია საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში (163 ლილვაკი) და სახელმწიფო არქივში (68 ლილვაკი).

კონსერვატორიის ხალხური მუსიკალური შემოქმედების კათედრის ფონდში ლეხელაიტნერმა აღრიცხა 54 ლილვაკი, რომელთაგან უმეტესობა სტანდარტული ზომისაა, არის საშუალო და დიდი ზომის ლილვაკებიც. ამ უკანასკნელებზე საკონცერტო ჩანაწერებია აღმატდილი. ასეთი ზომის ლილვაკები თბილისის სხვა კოლექციებში არ მოიპოვება. სხვადასხვანირია ლილვაკების შენახვის ხარისხიც. კველაზე კარგად ისინი შენახულია ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ფონდში.

ლეხელაიტნერის შეფასებით, ამ კოლექციებიდან დაზიანებულია 44 ლილვაკი (გვხვდება როგორც მექანიკური, ასევე სოკოსგან მიღებული დაზიანება). მათ აღსაღენად სპეციალური ზომების მიღებაა საჭირო, რის შემდეგ აღდგენილი ლილვაკები აუდერდება ისეთი ხარისხით, რომ სავსებით შესაძლებელი გახდება მათი ნოტირება. თოთოვეულ სტანდარტული ზომის ცილინდრზე რამდენიმე (უმეტესწილად 2-3) სიმღერაა ჩაწერილი.

ბ-ნი ლეხელაიტნერი შეხვდა ტმკსც-ის წევრებს, ესაუბრა მათ თავის საქმიანობაზე, აპარატზე, რომელიც მისივე გაპეთებულია და მოკლედ გააცნო, თუ როგორ ხდება ამ აპარატის მეშვეობით ლილვაკების აუდერვება. იგი აგრეთვე გაეცნო ტმკსც-ის ტექნიკურ ადგურვილობას, რომელიც იუნესკოს პროგრამის ფარგლებშია შემძიმელი; შეთანხმდნენ, რომ ლილვაკების აღდგენის პროცესში ჩანაწერების რედაქტირებისას მას დაეხმარებიან ტმკსც-ის ფოლკლორისტები, ხოლო ტექნიკურ საკითხებში – ფიზიკოსი არჩილ ხარაძე, რომელიც ამჯერად თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საარქივო ჩანაწერების გასუფთავებაზე მუშაობს

12 ივნისს შედგა ბ-ნი ლეხელაიტნერის, პროფ. რუსულან წურწუმიასა და ქ-ნ მაია

კაჭაჭიშვილის შეხვდრა საქართველოს შეხვდრა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის მოადგილესთან ბ-ნ ნიკოლოზ ვაჩევიშვილთან, რომელიც კულტურულ მემკვიდრეობას კურირებს. ავსტრიელმა სპეციალისტმა გამოოქანა მზადეოფნა, ჩამოვიდეს თბილისში ერთი თვით და უსასყიდლოდ გადაიტანოს ლილვაკებზე არსებული მთელი მასალს ლაზერულ დისკებზე, თუ საქართველოს მხარე გაიღებს ხარჯებს მისი მცირებაბარიტიანი აპარატის ტრანსპორტირებისა და მისი აქ ყოფნისათვის. ვენის ფონოგრამარქვის ინსტიტუტის ინტერესი მდგომარეობს მისი კოლექციის გამდიდრებაში ამ უნიკალური მასალის ასლებით. ამასთან, არაკომერციული მიზნებისათვის ამ მასალით სარგებლობის უფლებაზე ნებართვა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში დედნის მფლობელი არქივის პრეროგატივად რჩება. ბ-ნმა მინისტრის მოადგილემ მხარი დაუჭირა ეროვნული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის გადასარჩენად სპეციალური პროექტის შექმნის იდეას და იმედი გამოთქვა, რომ საქართველოს კულტურის. ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო გამონახაბს სესამდრბლობას მის დასაფინანსებლად.

გიზიტის დასასრულს კონსერვატორიის რექტორთან პროფ. მანანა დოიჯაშვილთან შედგა ბ-ნ ლეხელაიტნერის და თბილისში არსებული კოლექციების მფლობელი არქივების წარმომადგენელთა შეხვდრა, რომელზეც შეთანხმდნენ განაგრძონ მოლაპარაკებები ფონოგრამარქივთან შესაბამისი ხელშეკრულების გასაფორმებლად.

დაიგეგმა, რომ ბატონი ლეხელაიტნერი უახლოეს ხანებში (სავარაუდოდ შემოდგომაზე) ჩამოიტანს თავის აპარატს (ცილინდრპლაფერ) და კონსერვატორიაში ლილვაკების აღდგენაზე იმუშავებს. ჩანაწერების რედაქტირებისას მას დაეხმარებიან ტმკსც-ის წევრები; ხოლო ტექნიკურ საკითხებში – ტმკსც-ის წევრი, ფიზიკოსი არჩილ ხარაძე, რომელიც ამჯერად იუნესკოს პროგრამის ფარგლებში თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ფოლკლორის ლაბორატორიის ჩანაწერების გასუფთავებაზე მუშაობს.

## საველე-შემკრებლობითი მუშაობა

## ფოკლორული ექსპედიცია ზემო ალგანში (ოუშეთი)

2004 წლის 16-20 დეკემბერს იუნქსკოს პროგრამის ფარგლებში ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ალვანში მოეწყო მუსიკალურ-ფოლკლორული ექსპედიცია, რომელშიც მონაწილეობდნენ ტბილისის თანამშრობლები – ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დოცენტი ნატალია ზუმბაძე (ხელმძღვანელი), ხალხური მუსიკალური შემოქმედების კაბინეტის გამგე ქათევან მათიაშვილი და ლაბორანტი ოთარ კაპანაძე.

ზემო ალვანი ძირითადად წოვა თუშებით  
დასახლებული სოფელია. როგორც ცნობილ-  
ია, თუშური (განსაკუთრებით, წოვა თუშური)  
მუსიკის არცოუ ბევრი ნიმუშია ფიქსირებუ-  
ლი. აღნიშნული ესპერიცია ამ ნაკლის შექვების  
ერთ-ერთი ცდა იყო.

შეიძლება ითქვას, რომ ექსპედიცია საპარაზიტო შედეგიანი აღმოჩნდა. უკვე პირველ დღეს მარიკა ჩაგრმვილისგან (დაბ. 1976 წ.) ჩავიწერეთ სიმღერები წოვურ და ქართულ ენებზე, ასევე დასაკრავები გარმოზნება. მათ შორის „სამგზავრო“ და „ლიქოველი“. აქე უნდა აღინიშვნოს, რომ შემსრულებლის მღერის მანერასა და ბეჭრის წარმოებაში (დაბაბული, ხმამაღლალი, ერთგვარი „გამყივანი“ ბეჭრა) ნაწილობრივ იგრძნობილა ჩეჩენ და ქიხტ ქალთა შესრულების ზეგავლენა. მარიკასგან ჩავიწერეთ ისეთი სიმღერებიც, რომლებიც, სავარაუდოდ, უახლოეს წარსულში შეიქმნა და მნიშვნელოვნად სცილდება ტრადიციულ თუშურ რეპერტუარს. როგორც ჩანს, მსგავსი სიმღერები ადგილობრივ ახალგაზრდებში საკმაოდ პოპულარულია.

ძალზე საინტერესო გამოდგა შეხვედრა  
ლელა ჯამარაშვილთან (დაბ. 1935 წ.). ქალბა-  
ტონი ლელა წარმოშობით ფშაველია, თუმცა  
გაზრდილია ზემო ალვანში. იგი პოეტია და  
მხოლოდ საკუთარ ლექსებს ამდევრებს, ამავ-  
დროულად, ძალიან კარგად უკრავს გარმონზე.  
პირველი შეხვედრისას მისგან შედარებით  
ნაკლები მასალა ჩავიწერეთ, თუმცა შემდეგ  
თავად გვეწვია და სიმღერების გარდა, დახ-  
ვეწვილი გემოვნებით შესრულებული არაერთი  
საკრავიერი ჰანგიც მოგვახმენინა.

ზემო აღვანში შეკვეთით წარსულში  
ცნობილი მეჭიანურის, მოსე შაველიშვილის  
შვილს, ბატონ ნიკოლოზ (ნიკალა) შავე-  
ლიშვილს (დაბ. 1946 წ.). მისგან ჩავიწერეთ  
სხვადასხვა დასაკრავი ბალალიკასა და ფან-  
დურზე. ბატონი ნიკალას სახლში აღმოჩნდა  
მოსე შაველიშვილის გაცემისას ჭიათური,

რომელიც ამ ოჯახისთვის უძვირფასეს რელიეფია. ჭიანურს არ ჰქონდა სიმები, ხემი, ჯორაკი. ბატონი ნიკალას მასზე 20 წლის განმავლობაში არ დაეცრა. იგი შეგვპირდა, რომ რამდენიმე დღეში ადადგენდა საკრავს. ორი დღის შემდეგ ნიკალასთან ხელახლა სტუმრობისას ჭიანური უკვე გამართული დაგვხვდა. მოხერხდა რამდენიმე დასაკრავის ჩაწერა, მათ შორის ერთი ბატონმა ნიკალამ ხემით შეასრულა, დანარჩენი – თოვებით. რამდენიმე სიმღერა და დასაკრავი ჩვენს მისი შეფლისებან, გორგი შაველიშვილისებან (დაბ. 1988წ.). ნიკალას მმისტულს, დავით შაველიშვილს ადმონიჩნდა რენტგენის ფირობზე გადაწერილი მოსე შაველიშვილის ჩანაწერები. სამწუხაოოდ, შესაბამისი აპარატურის უქონლობის გამო, მათი გადაწერა ვერ მოვახერხეთ. ბატონი ნიკალას ინფორმაციით, ამ ჩანაწერების დედანი ინახება თბილისში, ტელე-რადიო კომიტეტის არქივში.

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა შეს-  
გვდრამ ლევან ბაიხოიძესთან (დაბ. 1931წ.).  
მისგან ჩავიწერეთ დასაკრავები ბალალაიკაზე,  
მათ შორის ზოგიერთი ქისტური მელოდიაც.  
ესპეციის წევრები აღაფროთვანა „წიფლოვა-  
ნას“ (რომელიც, ადგილობრივთა გადმოცემით  
მხოლოდ წოვა თუშების რეპერტუარში გვხვდე-  
ბა), „შამილის დაჭერის“ და სხვა დასაკრავე-  
ბის ვირტუოზულმა შესრულებამ.

დასამახსოვრებელი იყო შეხვედრა ელა-  
ნე (ელანე) ცისკარიშვილთან (დაბ. 1936 წ).  
მისგან ჩავიწერეთ ტირილი უშუალოდ გლო-  
ვის პროცესში, დაერძალვაში. ამის შემდეგ  
ქალბატონი ელანე თავად გვეწვია. მან, დატირუ-  
ბის გარდა, შეასრულა რამდენიმე წოვერი  
სიმღერა, მათ შორის ბავშვის დასახინებელი,  
რომელიც რამდენიმე ნაწილისგან შედგება –  
„ნანას“ გარდა, მასში ჩართულია „სათამაშოც“.  
შეიძლება ითქვას, რომ ელანე ცისკარიშვი-



၁၂၃

ჯამარაშვილი

ঢাঙ্গম

ალგანიდან



**ნიკოლოზ  
შეგელიშვილი  
ზემო  
ალგანიძეან**

ლისგან ჩაწერილი წოვური ტირილი და ბავშვის დასაძინებელი ჩვენი ექსპედიციის ერთ-ერთი საინტერესო შენაძინა.

განსაკუთრებით მინდა გამოვყო შეხვედრა რეპრო ალხანაიძესთან (დაბ. 1926 წ.). იგი თავის დროზე ცნობილი მეგარმონე და მომღერალი იყო. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ფოლკლორის კათედრის არქივში ინახება მის მიერ შესრულებული რამდენიმე დასაკრავი, რომელიც 1967 წელს ჩაწერა ფოლკლორისტმა კახი როსებაშვილმა. სამწუხაროდ, ქალბატონი რეპრო გარმონზე ადარ უკრაგს, თუმცა მისი შესრულებით ჩავიწერეთ „აკვნის ნანა“ და „დატირება“. ქალბატონი რეპროსგან დაგვამახსოვრდა მისი ულამაზესი კუთხეური მეტყველებაც, რომლის მსგავსაც დღეს იშვიათად მოისმენ.

ზემო ალგანში ფუნქციონირებს ფოლკლორული ანსამბლი „წოვათა“. 2004 წელს იგი მიწვევული იყო თბილისში გამართულ ტრადიციული მრავალ ხმიანობის II საერთაშორისო სიმპოზიუმზე. ანსამბლის ხელმძღვანელია ენათმეცნიერი ბელა შავხელიშვილი. ექსპედიციის წევრები უდიდეს მადლობას უხდიან ქალბატონ ბელას – მის გარეშე ექსპედიცია არ შედგებოდა. ქალბატონი ბელა თავად გამოგვყვა ალგანში და ძალიან დაგვეხმარა მომღერლების მონახვაში. სწორედ მისი დამსახურება, რომ ანსამბლ „წოვათას“ წევრები და სხვა შეგსრულებლები თავად გვეწვივნენ სახლში, რითაც საგრძნობლად გაგვიადვილეს მუშაობა. ამას გარდა, თავად ქალბატონი ბელასგანაც არაერთი საინტერესო გადმოცემა და ცნობა ჩავწერეთ წოვური და ქისტურ-ჩეჩნური მუსიკისა და სხვადასხვა წეს-ჩვეულების შესახებ. მისივე დახმარებით ჩავიწერეთ „წოვათას“ რამ-

დენიმე წევრი: ნათელა ჭარელიშვილი (დაბ. 1948 წ.), ციცინო დინგაშვილი (დაბ. 1951 წ.), ასმათ ლონგიშვილი (დაბ. 1948 წ.) და ლალი საგიშვილი (დაბ. 1961 წ.), რომლებმაც შეასრულეს სიმღერები ქართულ და წოვურ ენებზე. ადსანიშნავია, რომ ერთი და იგივე სიმღერების შესრულებისას თითოეული მღერის განსაკუთრებული, ინდივიდუალური მანერით გამოირჩეოდა.

ქალბატონი ბელას მეშვეობით ჩავიწერეთ მისი კიდევ ერთი ანსამბლის – „აზნაშის“ წევრი ლალი იმედაშვილი (წარმოშობით ქისტი, დაბ. 1978 წ.). მან შეასრულა ქართული და ქისტური სიმღერები საკრავის თანხლებით და მის გარეშე.

დასაკრავები ჩავიწერეთ გივი კალატოზიშვილისა (დაბ. 1945 წ.) და ეთერ წოტოიძისგან (დაბ. 1949 წ.). მათგან გამოვყოფდი ბატონი გივის მიერ გარმონზე შესრულებულ „წიფლოვანას“.

საკუთრივ მუსიკალური მასალის გარდა, მოვიპოვეთ საგმაოდ მდიდარი სიტყვიერი ინფორმაცია თუშებში გავრცელებული „ხმების“ (გარკვეული მუსიკალური პანგების) სახელწოდების, საკრავის დამზადების წესის, ბერიკაობის, ქორწილის, ამინდის მართვის, ბატონების კულტორი დაკავშირებული რიტუალების შესახებაც.

სუთდღიანი ინტენსიური მუშაობის მიუხედავად ვერ მოვასწარით ადგილობრივებში ცნობილი რამდენიმე შემსრულებლის (მათ შორის – მეჭიანურის) ჩაწერა. სამწუხაროდ, ვერ დავატიქსირეთ სალამურზე დასაკრავებიც, თუმცა, იმედია, ამ ნაკლს შევავსებოთ ზემო ალგანში კვლავ სტუმრობით.

ბოლოს, გვინდა კიდევ ერთხელ მადლობა გადავუხადოთ ბელა შავხელიშვილს, ჩვენს მასპინძლებს – დინგაშვილების ოჯახს, ზემო ალგნის კულტურის სახლის დირექტორს რევაზ ორბეთიშვილს, რომელიც რამდენიმე დღის განმავლობაში გვიწევდა მეგზურობას, და, რა თქმა უნდა, ყველა იმ შემსრულებელს, რომლებმიც არ დაგვზარდნენ და ჩვენთვის უძვირფასესი ნიმუშები ჩაგვაწერინეს.

**ოთარ გაპანაძე**

საგელე-შემკრებლობითი მუშაობა

## ფოკლორული ექსპედიცია შუახევის რაიონში (აჭარა)

2005 წლის იანვარსა და მარტში ფონდმა „ლია საზოგადოება – საქართველო“ და ობილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის ცენტრმა განახორციელა პროექტი, რომლის ფარგლებში ორ ეტაპად მოეწყო ექსპედიცია მაღალმთიან აჭარაში. კელადასათვის ცხადია, რომ ფოლკლორი – როგორც სინკრეტული მოვლენა, კომპლექსურ მიღვიმას და სხვადასხვა დარგის მკვლევართა ერთობლივ ძალის ხმევას მოითხოვს. ამ ექსპედიციამ მუსიკოსები და ფილოლოგები გააერთიანა – შუახევისა და ქედის რაიონის სოფელებში იმუშავეს ფოლკლორული არქივების კოალიციის წევრებმა – ნინო კალანდაძემ და ქოვევან მათიაშვილმა (თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საქონისო ცენტრი), ელგუჯა დადუნაშვილმა და გიზო ჭელიძემ (შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის არქივი, ელგუჯა მაკარაძემ და გიორგი მახარაშვილმა (ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის კათედრა). კომპლექსურის კომპლექსური კვლევა მასალის კომპლექსურად ჩაწერით იწყება – ამ იდეით გაერთიანებას საგელე მუშაობის გამოცდილების, მეთოდოლოგიისა და კონკრეტული მეთოდების ურთიერთგაზიარების სურვილიც ახლდა თან.

ექსპედიციის წევრების მიერ ციფრული წესით დაფიქსირებული 11 (თითოეული 80 წთ.) და 6 V კასეტა (თითოეული 60 წთ.), 408 ფოტო შესატყვისი საასაპორტო მონაცემებითა და აღწერილობით ერთდროულად სამ არქივში ინახება.

რთული პირობების მიუხედავად (გაულისხმობის იანვრის დიდობოვლებას და გაზაფხულზე) სწორედ ამ რეგიონში მოვარდნილ

მეწყერებს), მუშაობა თერთმეტ უბანზე მოხერხდა: დაბა შუახევი, სხეფის საკრებულოს სოფ. დორექეთი, ბარათაულის საკრებულოს სოფ. ბარათაული, ჭვანას საკრებულოს სოფ. ჭვანა და სოფ. ხაბეგლაშვილები, ? საკრებულოს სოფ. ჩანჩხალო, ზამლეთის საკრებულოს სოფ. ფურტიო, დღვანის საკრებულოს სოფ. ლომანაური და სოფ. გოგინაური, ქედის რაიონის ზგარეს საკრებულოს სოფ. ზვარე და სოფ. კვაშტა, ქალაქი ბათუმი.

ექსპედიციამ გამოავლინა სხვადასხვა ასაკის ორმოცამდე მთქმელი და ინდიფიდუალური შემსრულებელი, მომღერალთა ოთხი ჯგუფი (სოფ. ჭვანის, ფურტიოსა და ლომანაურის ანსამბლები, ტარიელამების საოჯახო ანსამბლი სოფ. ბარათაულიდან). საკრავის დამამზადებელი ოტრატები (მათ შორის ჭიბონის დამამზადებელი ოთხი პიროვნება, ფანდურის, დოლისა და საზის მკეთებელი).

სოფ. დორექეთში, დაგითამებების ოჯახში დავესწარით ნიშნების რიტუალს. შევკრიბეთ ინფორმაცია ლაზარობის, სახლის მშენებლობის, გლოვისა და ქორწილის წესებზე. მდინარე ჭვანას ხეობაში კვლავ დასტურდება სამიწაო-მოქმედო სამუშაოებისას საკრავების გამოყენების ფაქტები. ჩავწერეთ ჭიბონის, ჩონგურის, ფანდურის, დოლის, სალამურის, საზის, გარმონის, აკორდეონის, საბავშვო სტვირის დამზადებისა და შენახვის წესები, მათი ნაწილების სახელწოდებანი, ქორეოგრაფიული ტერმინოლოგია და სხვ. გადავიდეთ სხვადასხვა ასაკის, განსაკუთრებით კი სანდაზმულთა მიერ შესრულებული ცვავები.

ტრადიციული, საბჭოური და თანამედროვე სალხური შემოქმედების საინტერესო ვარიანტებთან („ორიორა „ყორანი ყანაშია“, „ოისა“, „ხერტლის ნადური“, „ევრო“, „გვრი და მასინძელსა!“, „ყაზალის ლექსი“, „დაუკარ, ჩემო ჩეგურო!“, „ხორუმი“, „განდაგანა“, „სიმღერა



ქაზბ  
ტარიელაძე  
ბარათაულიდან



სევი  
დუმბაძე  
ფურტიოდან

ბახმაროზე“, „აჭარავ, ჩემთ სამშობლო!“, „დორჯომელი ვიყავ, განა?!”) ერთად ფირზე აღვტეს კუთხის, ხელოსნობისა და რეწვის ნიმუშები (თოთისტარისა და მარხილის დამზადება, საცხოვრებელი სახლის ტიპები, სამჭედლო, ტურა-ბედელა და სხვ).

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ რაიონში მოქმედი ფოლკლორული ანსამბლების წევრები ვედარ იკრიბებიან ინტენსიურად ვერც რეპეტიციებზე და ვერც ოჯახებში. ეს კი უარყოფითად მოქმედებს მრავალ ხმიანი სასიმღერო ტრადიციების შენარჩუნებაზე. ჩვენი აზრით, ამ რაიონში არასასარბივლო ვთიარებაა ჭიბონთან დაკავშირებითაც. ბევრ შემსრულებელს არა აქვს საკრავი და არც მისი დამზადებისათვის საჭირო თანხა.

აჭარის რეგიონი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ორენოვანი ტექსტებისა და კულტურათა დიალოგის კალევის თვალსაზრისით. შეკრებილი მასალა უდავოდ დააინტერესებო ქართულ-თურქულ, ქართულ-კავკასიურ, ქართულ-რუსულ, ქართულ-ებრაულ კავშირებზე მომუშავე მეცნიერებს. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია „ქურთბარის“ – ქურთების ფერხულის აჭარაში გავრცელების ფაქტმა, მისი შესრულების ადგილობრივმა წესებმა და ფორმებმა. ექსპედიციის მიღწევად უნდა ჩაითვალოს ვიდეოფირზე შელოცვების აღტეს და მაჰმადიან ქართველთა მიერ ყურანის ხმით კითხვის ნიმუშების დაფიქსირება, რაც, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, აქამდე არასოდეს მომხდარა.

2005 წლის 20 მაისს პროექტის დამფინანსებელი ფონდის „დია საზოგადება – საქართველო“ საკონფერენციო დარბაზში გაიმართა ექსპედიციის შედეგების პრეზენტაცია, მოეწყო ფოტოგამოფენა, ელგუჯა დადუნაშვილისა და იმედა მაღლაკელის მიერ საგანგებოდ მომზადებული ვიდეოპლიპების ჩვენება.

ვიმედოვნებთ, რომ შეკრებილ მასალას სამეცნიერო დირექტულებასთან ერთად პრაქტიკული დანიშნულებაც ექნება.

ექსპედიციის წევრები დახმარებისა და თანადგომისათვის განსაკუთრებულ მადლობას მოახსენებ შეახვის რაიონის გამგებელს, ბატონ თემურ ზოიძეს და კულტურის განყოფილების გამგეს, ბატონ ვასო ხიმშიაშვილს, ყველა იმ ადამიანს, ვინც გულისხმიერებითა და დიდი პასუხისმგებლობით მოუკიდა ტრადიციული მექანიდრეობის ჩაწერისა და დაცვის საშვილიშვილო საქმეს.

## ნინო გალანდაძე

# ქართველი ეთნომუსიკისმცოდნები ედიშერ გარაფანიძე (1957-1998)

როცა ედიშერ გარაფანიძეზე – ჩემს კოლეგასა და თანამოაზრებე – წერილის დაწერა გადავწყვიტე, პროფესიულ მოვალეობად ჩავთვალე, კიდევ ერთხელ გადამეტხედა მისი მემკვიდრეობისათვის. შედეგმა გამაოცა: მისი ნააზრევი დღეს ისეთი აქტუალური და პრობლემატურია, როგორც არასდროს! ედიშერის მოქალაქეობრივი, პროფესიული და პიროვნული ლირსებები ისე სანატრელია, როგორც არასდროს!

საქართველოში მიცვალებულისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება, როგორც წესი, მისი საქმიანობის შეფასებაშიც ვლინდება: გარდაცვლილზე უცრო აღმატებით ხარისხში წერენ, ხშირად ისეთ თვისებებს მიაწერენ, რომელიც რეალურად არ ახასიათებდა. ამის გამო მნელია გაარკვიო, სად არის ზღვარი სიმართლესა და შეთხულს შორის. ედიშერ გარაფანიძე ამ მხრივ გამონაკლისია – მის ნაღვაწს არაფრის მიმატება, გამოგონება და შელამაზება არ ჰირდება. ხანძოკლე სიცოცხელის მანძილზე ედიშერმა მართლაც დიდი ამაგი დასდო ქართული ხალხური მუსიკის შეკრების, კვლევის, სწავლებისა და შესრულების საქმეს. მისი სახით ჩვენმა ეროვნულმა საგანმურმა ჰქმარიტი გულშემატკივარი დაკარგა.

ედიშერ გარაფანიძე იყო ნამდვილი მამულიშვილი, რომელიც სამშობლოს სიყვარულს მთელი ცხოვრება საქმით ადასტურებდა. საკუთარი პროფესიის იშვიათი ერთგულება მას ბევრი კოლეგისგანაც გამოარჩევდა.

ედიშერ გარაფანიძის მოღვაწეობა საკუთარ და სხვათა საქესპედიციო გამოცდილებას ეფუძნებოდა. ზედმიწებნით კარგად იცოდა საარქივო მასალები. ძველი და ახალი ექსპედიციების ხელმძღვანელებისა და მათი ჩანაწერების პატივისმცემელი, სხვებსაც ამგვარადვე განაწყობდა.

ქართული ხალხური მუსიკის შეკრება ჯერ კიდევ კონსერვატორიის სტუდენტობიდან დაიწყო, სადიპლომო ნაშრომი კი მთლიანად ქართლში მოპოვებულ საკუთარ მასალებს დააფუძნა. ექსპედიციებით არაერთხელ მოუკლია საქართველო კოლეგებსა და სტუდენტებთან, ანსამბლ „მთიების“ წევრებსა და სტუდია „ამერ-იმერის“ ბავშვებთან ერთად. ქართლი, მესხეთი, იმერეთი, სამეგრელო, კახეთი, სვანეთი, გურია, ფშავი, აჭარა, დაღესტანი, რაჭა,



თუშეთი, ხევი – ასეთია მისი საექსპედიციო მარშრუტები. ედიშერი ზოგიერთი სიმღერის ერთადერთი ჩამწერია. მაგალითად, იგი რომ არა, არ გვეცოდინებოდა, როგორი იყო ქართლური "მზე შინა".

ხალხური მუსიკის პვლევა ედიშერ გარაფანიძისათვის სასიცოცხლო მოთხოვნილება იყო. ნიჭიერება, შრომისმოყვარეობა და კეთილსინდისიერება მისი სამუცნიერო პორტრეტის ძირითადი შტრიხებია. საქართველოსა და სახლვარგარეთ გამართული საერთაშორისო კონფერენციებისა და სიმპოზიუმების მონაწილეობაში, მაღალი რანგის პროფესიონალიზმთან ერთად, უცხო ენების – რუსულის, პოლონურის, გერმანულისა და ინგლისურის – საფუძვლიანი ცოდნაც ეხმარებოდა. პქონდა მრავალი პუბლიკითა საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ (50-მდე მხოლოდ სამუცნიერო და სახაფლო-მეთოდური ნაშრომის ავტორია).

მიუხედავად დიდი საჭიროებისა, დღემდევერ მოხერხდა ედიშერ გარაფანიძის საკვალიფიკაციო ნაშრომების გამოქვეყნება. საქანდიდატო დისერტაცია – „ქართული მუსიკალური დიალექტები და მათი ურთიერთობიმართება“ – დაცვის დღიდან შეუცვლელია ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების სწავლების საკონსერვატორიო კურსში. განსაკუთრებით დიდია პრაქტიკული ლირებულება სადოქტორო დისერტაციისა – „ქართული ხალხური სიმღერის შემსრულებლობა“, რომლის დაცვაც მან, სამწუხაროდ, ვერ მოასწრო. ამ ნაშრომის პუბლიკითა შეიძლებოდა სასიკეთო ძვრები მოჰყოლოდა ფოლკლორულ შემსრულებლობაში.

ედიშერ გარაფანიძე ეხმაურებოდა ქართულ ხალხურ სიმღერასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან პრობლემას, გამოსახურებელ საკითხებს და კამათში, "ჭეშმარიტების

დაბადების" იმედით, განსხვავებული აზრის მოსმენისთვისაც მზად იყო, მხოლოდ – სპეციალისტებისაგან. ქართული მუსიკალურ-ფოლკლორისტების კრიტიკის არცოულ მდიდარი ტრადიციებისა და მისი ავტორებისადმი საზოგადოების დამოკიდებულების მიუხედავად, ედიშერს არ გაჭირებებია, კორექტული შენიშვნები გამოეთქვა ისეთი ცნობილი კოლექტივების მიმართ, როგორებიცაა საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი, საქართველოს რადიომაუწყებლობისა და ტელეკომის სახელმწიფო კომიტეტის ფოლკლორული ანსამბლი, „შვიდკაცა“, „გორდელა“, „რუსთავი“, „გაზისი“. ობიექტურ კრიტიკოსს მხედველობის მიღმა შემსრულებლობის დადებითი მხარეებიც არ რჩება. კრიტიკულ შეფასებას იწვევს: „ფოლკლორულის“ დარქმევა რეპერტუარით და შესრულებით არაფოლკლორული ანსამბლისათვის, ხალხურ ანსამბლში – პროფესიონალი ვოკალისტები, სიმღერის ფორტეპიანონასა და ნოტებით სწავლუბა, საკონცერტო რეპერტუარში – „გადამღერებული“ სიმღერები, აღმოსავლეთ საქართველოს მთის ნამდვილი ფოლკლორის სახელით კომპოზიტორთა ნაწარმოებების შესრულება, სიმღერაში ლოტბარის ჩარვა, ხმების პარტიებში – გაუმართლებელი ხელოგნური ცვლილებები, შესრულების „აკადემიური მანერა“, ცეკვებსა და ფერხულებში – საბალეტო ელემენტებით...

ედიშერს შშვენივრად ესმის, რომ დროთა განმავლობაში ყველაფერი (და ხალხური სიმღერაც) იცვლება, ვითარდება და შორდება პირველწყაროს, რომ სხვაგარად შეუძლებელია, მაგრამ „საჯუთარი კულტურის ძირითადი პრინციპების დაკარგვას“ ასიმილაციად, გათქვეფად აღიქვამს. მისი აზრით, „საუცნებების მანძილზე დადგენილის შეცვლა უდიდეს სიფრთხილესა და პასუხისმგებლობას საჭიროებს!“

დღეს კიდევ უფრო საინტერესოა ახალგაზრდა ედიშერ გარაფანიძის დამოკიდებულება ხალხური მრავალხმიანობის საკითხებისადმი მიმღებილი პორჯომის სამუცნიერო კონფერენციის მიმართ (1986). მას მოსწონს წარმოდგენილ პრობლემატიკური ფართოდ ერუდირებული ავტორები; მუსიკოსები, რომლებიც თეორიულ საკითხებს "ცოცხალი მუსიცირების პრაქტიკით" ჭრიან. ედიშერი მაღლიერია კონფერენციის მოსამზადებელ პერიოდში ახალგაზრდა ფოლკლორისტთა ნაშრომების დაწვრილებითი განხილვისა, გამოცდილი სპეციალისტების, უფროსი კოლეგების რჩევებისა და მითითებებისა. მისი სურვილია, საკონფერენ-

ცოდ მოხსენებების თემატიკა უკეთესად შეირჩეს: ქართული ხალხური მუსიკის უმნიშვნელოვანეს მსარეებზე მეტ-ნაკლებად სრული ინფორმაცია იყოს წარმოდგენილი. კორექტული და საქმიანია ედიშერის შენიშვნები კონცერტების ფოლკლორული კონცერტების მონაწილე ან-სამბლებისადმი.

ედიშერ გარაფანიძე ქართული ხალხური მუსიკალური საგანძუროის მსოფლიოსათვის გაცნობის, გაზიარების მომხრეა. მისოთვის ძალიან მნიშვნელოვანია ამ მუსიკის პროპაგანდა, მისი საყოველთაო აღიარებისათვის გადადგმული ნაბიჯები. ამ მხრივ ერთ-ერთი უმთავრესია საერთაშორისო სარბიელზე ქართული ხალხური მუსიკის შესახებ სამეცნიერო აზრისა და ინფორმაციის დროულად გატანა. არანაკლებ აქტუალურია ედიშერისათვის კადრების საკითხი. მისი აზრით, „კარგი სპეციალისტი სანთლით საძებარია“. იგი საუბრობს საკონსერვატორიო სწავლებაში ზოგადი განათლების დიდ ადგილსა და სპეციალიზაციის შეგიწროებაზე, და აუცილებლად მიაჩნია უცხოეთის ქვეყნების სასწავლო სისტემის დაღებითი გამოცდილების გათვალისწინება.

პედაგოგიური საქმიანობა ედიშერ გარაფანიძის მოღვაწეობის მნიშვნელოვანი ნაწილია. ფოლკლორისტთა კადრებს, მეცადინეობების გარდა, ექსპერიციებში ტარებით, საქართველოს კუთხებისა და იქაური მკვიდრების, მათი ზეგანვალებებისა და ტრადიციების გაცნობითა და შეკვარებით ზრდიდა. შედეგიც სახეზე იყო: მისი ხელმძღვანელობით შესრულებული სადიპლომო ნაშრომები გამოიჩინება არა მარტო აქტუალური თემატიკით, არამედ მისი ღრმა ცოდნითაც. სტუდენტთა სამეცნიერო ხელმძღვანელობისას უპირატესობას მათ ნააზრებს აძლევდა. ეროვნული მუსიკალური საგანძუროისა და მისი შემქმნელი ხალხისადმი სიყვარულის ჩანერგვა იყო ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების მისეული სალექციო კურსის მთავარი მიზანიც.

ედიშერ გარაფანიძე ერთ-ერთი პირველია, ვინც ქართული ხალხური სიმღერის უცხოელთათვის სწავლება დაიწყო. ამ მხრივ მან ბევრი იღვაწა – სხვადასხვა დროს ასწავლიდა ნიდერლანდებში, გერმანიაში, დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთში. ედიშერის მეცადინეობებზე ნამყოფი, მისი პროფესიული თუ პირველული თვისებებით მოხიბლული უცხოელები მის სახელს დღმიდე ღრმა ჰატიფისცმითა და სიყვარულით იხსენებენ. ბევრი მათგანი სწორებდა ამ პირვენებასთან ნაცნობობამ გახადა საქართველოსა და ქართველი ხალხის მეგობარი, მისი გულშემატკიცარი. ის ფაქტი, რომ ქართულმა ხალხურმა სიმღერამ საზღვარ-

გარეთ შორს გაითქვა სახელი და მრავალი თაყვანისმცემელი შეიძინა, მის უნიკალობასთან ერთად, ედიშერ გარაფანიძისნაირ პროფესიონალთა და პიროვნებათა დამსახურებაცაა. ედიშერის ამგვარი პედაგოგიური საქმიანობისა და ბრიტანელთა მხრიდან მისი დაფასების გამოხატულება 2004 წელს უელსში გამოცემული ქართული ხალხური, საექლესიო და ქალაქური სიმღერების უცხოელთათვის განკუთვნილი კრებული.

შემსრულებლობა ედიშერ გარაფანიძის მოღვაწეობის განსაკუთრებული მხარეა. მის მიერ დაარსებული ვაჟთა ფოლკლორული ან-სამბლი „მთიები“ (1980) ახალი მიმართულების უუძმებელია ქართული ხალხური სიმღერის შემსრულებლობის ისტორიაში. ჯგუფის მთავარი შემოქმედებითი პრინციპი აუთენტიკურ ფოლკლორის სიახლოება. „მთიებში“ განსაკუთრებით თვალსაჩინოდ გამოვლინდა მისი ხელმძღვანელის პროფესიონალიზმი – საქართველოს უკელა ეთნოგრაფიული რეგიონის ძირძებითი რეპერტუარის, შესრულების ფორმებისა და საშემსრულებლო მანერის ღრმა ცოდნა. არცერთ სხვა ანსამბლს არ უდგაწია იმდენი საქართველოში ქართული ხალხური მუსიკის პოპულარიზაციისათვის, რამდენიც – „მთიებს“, მეტადრე, ქართველებით ნაკლებად დასახლებულ რაიონებში.

ედიშერ გარაფანიძის იდეით დაარსდა ქალთა ფოლკლორული ანსამბლი „მზეთამზეც“ (1986), რომელიც საქართველოში ერთადერთი მოიძებს, აღადგენს და ასრულებს ქალთა ტრადიციულ რეპერტუარს. საკუთარი კოლეგან შედგენილ ამ ჯგუფს იგი მთელი ცხოვრება გულშემატკიცრობდა.

გასული საუკუნის 90-იანი წლების დამდეგს ედიშერმა დაარსა და ხელმძღვანელობდა საქართველოს მუსიკალური საზოგადოების საყმაწილო ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ სტუდია „ამერიმერს“. „მთიებისა“ და „მზეთამზეც“ მიმდევარი, მხოლოდ გოგო-ბიჭებით დაკომპლექტებული ეს კოლეგიციი საქართველოში პირველი იქნებს საბავშვო რეპერტუარის ძიგბას, შესწავლასა და წარმომავალს.

სიცოცხლის ბოლო წლებში ედიშერ გარაფანიძე სათავეში ედგა საქართველოს ახალგაზრდა შემოქმედთა გაერთიანების ფოლკლორის თეატრს. 1998 წელს მისი ხელმძღვანელობით დადგმულმა სკექტაკლებმა თეატრის საინტერესო სამომავლო გზები დასახას.

მსმენელისა და მაყურებლის მეხსიერებაში სამუდამოდ დარჩა ედიშერის საუცხოო რადიოდა ტელეგადაცემები, რომელთა ძირითადი მიზანი ხალხური მუსიკის პროპაგანდა და ფოლკლორული ანსამბლების მხარდაჭერა იყო.

უცნობი და შეუსწავლელია ედიშერ გარაფანიძის საკომპოზიტორო საქმიანობა. ამ მხრივ საძიებელი ჯერ კიდევ ბევრია, თუმცა დღემდე გარკვეულის მიხედვით, მას ეკუთვნის მშვენიერი სიმღერები, მუსიკა თეატრალური სპექტაკლებისათვის, მუსიკა საკლესიო მსახურებისათვის, სხვა განრის ნაწარმოებები.

ედიშერ გარაფანიძის ცხოვრება საკუთარი პროფესიით სამშობლოს სამსახურის შესანიშავი მაგალითია. ქართული ხალხური მუსიკის ნამდვილმა მოამაგებ თავისი საქმიანობით სიცოცხლეშივე დაიმკვიდრა დირსეული ადგილი ეროვნულ ფოლკლორისტიკაში.

ნატალია ზუმბაძე

ეღიაშვილ გარაყანიძის მირთადი სამეცნიერო,  
სასწავლო-მეთოდური და სხვა პუბლიკაციები

## საქართველოს ფოკლორული კოლექტივები

### ქალთა ფოკლორული ანსამბლი „მზეთამზე“

1986 წლამდე ქართველების ინტერესი საკუთარი ტრადიციული მუსიკისადმი ერთი მეტად არაადეკვატური ფაქტით იყო დაღდას-მული: ქვეყანაში, სადაც ქალისადმი პატივის-ცემა მამაკაცის ღირსების საქმე იყო, ქართველი ქალის ტრადიციული ყოფის მუსიკალური მხარე ფართო მსმენელისათვის ტერა ინკოგ-ნიტად რჩებოდა.

რა თქმა უნდა, არსებობდა მრავალი ცნობილი ქართველი ქალი – ხალხური სიმღერისა და დაკვრის ოსტატი – მარო და ეკატერინე თარხნიშვილები, ანა ვარდიაშვილი, ნინო ტოღონიძე, მარიამ არჯევნიშვილი, ლუბა და ვერა შელეგიები, ელენე ჭუბაძრია და სხვანი. მაგრამ მათი უმრავლესობა მდეროდა ან მამაკაცების რეპერტუარს, ან – მაშინდელ „თანამედროვე“ (საბჭოური) თემატიკის ნაწარმოებებს, ან – სატრუიალო შინაარსის დუეტებში იღებდა მონაწილეობას და იშვიათად ასრულებდა ქალთა სოლო და ანსამბლურ სიმღერებს. ზოგიერთი ნიმუშის საკმაოდ მაღალმხატვრული დონის მიუხედავად, ყოველივე ეს, ძირითადად, სცენისათვის კეთდებოდა.

მართლაც, მაშინ, როდესაც ასევე სცენაზე სრულდებოდა მამაკაცთა შრომის, საფეხურებულო, რიტუალური, სამგლოვიარო, სამკურნალო, ბალადური სიმღერები, ამავე უანრის ქალთა სიმღერები ძლიერი სქესის ჩრდილიდან ვერა და ვერ გამოდიოდა. რატომ?

ერთ-ერთი მიზეზი ის გახლავთ, რომ ადრე ქართული სიმღერის შემკრები ხშირად უპირატესობას ანიჭებდნენ მამაკაცთა რთულ, მაღალორგანიზებულ (განსაკუთრებით – სუფრულ) სიმღერებს, რის გამოც იჩაგრებოდა არა მარტო ქალთა, არამედ ბავშვთა და თვით მამაკაცთა მარტივი, ყოფასთან უფრო მჭიდროდ დაგავშირებული სიმღერები. ამავე დროს, ქალთა, დიასახლისთა სიმღერები ხომ სწორედ ყოფასთან უშეალო კავშირითაა გამორჩეული. იმ ქართველ მკაფიოებებს ფოკლორული თავის რომლებმაც თანაბარი ფურადღება მიაქციეს როგორც მამაკაცთა, ასევე ქალთა მუსიკალურ ფოკლორს თავის რთულ თუ მარტივ გამოვლინებაში, გახლდათ მინდია

ჟორდანია, კახი როსებაშვილი, და ბოლო დროს, განსაკუთრებით – ედიშერ გარაფანიძე. სწორედ მისი ძალისხმევა გახდა ის ბიძგი, რომელმაც მხოლოდ ქალთა ტრადიციული რეპერტუარის ფოკლორული ანსამბლის ჩამოყალიბება განაპირობა.

და აი, თითქმის ოცი წლის წინ, 1986 წელს ქალთა ფოკლორული ანსამბლი „მზეთამზე“ პირველ კონცერტს მართავს – ქართული ენის დიდი მკვლევარის, აკაკი შანიძის 100 წლის საიუბილეო საღამოზე.

ანსამბლს თავიდანვე რამდენიმე გარანტია ჰქონდა წარმატებისა: მისი წევრები პროფესიონალი ეთნომუსიკისმცოდნები იყენება, რომელთაც სტუდენტობიდან მოყოლებული არაერთი საერთაშორისო კონფერენციაზე პქონდათ მონაწილეობა მიღებული (შესაბამისი მუსიკალური ილუსტრაციებით) და სერიოზული მეცნიერული გამოკვლევების ავტორებიც იყვნენ. ამასთან მათ უმრავლესობას, პროფესიონალური მუსიკისმცოდნებს, თბილისის კონსერვატორიაში სწავლისას, შალვა მოსიძის ხელმძღვანელობით ქალთა აკადემიურ გუნდში სიმღერის საგმაო პრაქტიკაც გააჩნდა.

წარმატებამ არ დააყოვნა. ქართველმა მსმენელმა „მზეთამზეს“ დახმარებით „აღმოაჩინა“ ქართველი ქალის მუსიკალური ყოფა. ტყუილუბრალოდ არ ვიმეორებთ სიტყვა „ყოფას“. ანსამბლი ზედმიწევნით მიახლოებულად ასრულებს ფოკლორულ ნიმუშებს (ხში-



„მზეთამზე“ თავდაპირული შემადგენლობით

რად თავისსავე ჩაწერილს): აბამენ ფერხულს, უკრავენ ტრადიციულ საკრავებზე, ცდილობენ მიბაძონ ქართველი სოფლელი ქალისათვის დამახასიათებელ არტიკულაციას, რის გამოც იქმნება შთაბეჭდილება, რომ თქვენ, მსმენელი ქართველი გლეხის სახლში იმყოფებით, საიდანაც ოჯახის თავი დროებით სადღაც გასულა, ან - უმზერთ მამაკაცებისგან განცალკევებით შეკრებილ ქალთა რიტუალს.

"მზეთამზეს" შექმნამდე ქართველ მსმენელს აკლდა იყო ქართველი დედის სიმღერაში ჩაქსოვიდი სითბო, რაც არანაკლებ სამურია, ვიდრე „მრავალეამიერით“ მოლხენა და „ხასანბეგურათი“ ლაღობა; ამაღლებულ გრძნობებს ბადებს სვანური „ზარი“, მაგრამ მისი ტრაგიზმი სხვა ბუნებისაა, მოხეური „ხმით ტირილისა“ კი - სხვაგვარისა; გაიზრდებოდა კი ვაჟაცი ქართული სულისკვეთებით, თუ მისი დაბადებისას ქალები საძეობო „მზე შინას“ არ იმღერებდნენ?

„მზეთამზე“ თავიდან ექვს ახალგაზრდა ქალს აერთიანებდა: ნატო ზუმბაძეს, ქეთევან ბაიაშვილს, ქეთევან ნიკოლაძეს, ნინო კალანდაძეს, ნუნუკა შველიძეს და ნანა ვალიშვილს. სხვადასხვა დროს მათთან ერთად მდეროდნენ ბაია ასიეშვილი და დოდო თაქთაქიშვილი. ცოტა ხნის წინ მათ შეუერთდა თეა კასაბური. დღეს ანსამბლის ორი წევრი ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის თანამშრომელია - ნატო და ნინო, ხოლო - ნანა, თეა და ნუნუკა - ფოკლორის სახელმწიფო ცენტრში მუშაობენ. სახელი „მზეთამზე“, რომელიც ანსამბლისათვის ნინო კალანდაძემ შეარჩია, უზენაესის ერთ-



**„მზეთამზე“ ედიშერ გარაფანიძესთან  
ერთად სცენაზე**

ერთ მეტაფორულ სახელს წარმოადგენს.

ანსამბლმა წარმატებული გასტროლებით მოიარა ევროპის მრავალი ქვეყანა, მათ საქართველოში ქართული ტრადიციული მუსიკით დაინტერესებული ყველი ადამიანი იცნობს. „მზეთამზეს“ მონაწილეობა აქვს მიღებული მრავალ ფილმში, საქველმოქმედო თუ საგანმანათლებლო დონისძიებაში, დიდი ხანია ატარებს „სახალხო ფოკლორული კოლექტივის“ საპატიო სახელს.

მიუხედავად მსმენელებში ანსამბლის რეპერტუარის მყარი წარმატებისა, „მზეთამზე“ დაუღალავად ზრუნავს ახალი ნიმუშების მოძიებაზე - თუმცა არა იმდენად სცენაზე გამოტანის, არამედ შთამომავლობისთვის შენარჩუნებისა და მეცნიერული კვლევის მიზნით. ანსამბლის წევრები ხელმძღვანელობენ და მონაწილეობას იღებენ საველე-საექსპედიციო მუშაობაში; ყოველი მათგანი ხელმძღვანელობს ბავშვთა სხვადასხვა ფოლკლორულ კოლექტივს, სადაც ცდილობენ სწორედ ქართული სიმღერის მეშვეობით შეაგრძნობინონ მომავალ თაობას ქართული ხასიათისა და ტრადიციული ყოფის განუმეორებელი სურნელი.

## თამაზ გაბისონია

### დისკოგრაფია

- 1.ანსამბლი „მზეთამზე“ - ქართველ ქალთა ტრადიციული სიმღერები, დისკი I Face Music Switzerland - 50016 P & C, 1996 წ.
- 2.ანსამბლი „მზეთამზე“ - ქართველ ქალთა ტრადიციული სიმღერები, დისკი II Face Music Switzerland - 50016 P & C, 2000 წ.
- 3.მზევ შინ შემოდიო! ქართული ხალხური მუსიკა ბავშვებს. ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი, ბანკი რესპუბლიკა. თბილისი 2004 წ.


## ერნსტ ემსპაიმერი – კავკასიური ფოლკლორის მოამაგე

სამუსიკო ფოლკლორისტიკაში ჩემი საქმიანობა, ალბათ, სრულიად სხვა გზით წარიმართებოდა, რომ არა ერნსტ ემსპაიმერის კეთილი რჩევები და პროფესიული დახმარება; ჩემთვის კვლავ დაფარული დარჩებოდა თემები, რომელთა გარეშე, არც კი ვიცი, როგორ ვიმუშავებდი ამ სფეროში. თუ როგორ ჩაეყარა საფუძველი უდიდესი ეთნომუსიკოლოგის, სტოკოლმის სამუსიკო-ისტორიული მუზეუმის დირექტორის ნაცნობობას ჩემთან, პუშკინის სახლის იმსანად ახალგაზრდა მეცნიერთანამშრომელთან – სიუჟეტური თვალსაზრისით მეტად საინტერესოა.

1967 წელს, კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ, კალინინში (ამჟამად ტელურში) ვმუშაობდი. ლენინგრადში დაბრუნებისთანავე სსრკ მეცნიერებათა აკადემიის რესული ლიტერატურის ინსტიტუტის ფონორაქივში მიმიღეს სამუშაოდ. 1971 თუ 1972 წელს ჩემი სადიპლომო ნაშრომის სამუცნიერო ხელმძღვანელმა, პროფესორმა მ.ს. დრუსკინმა ერთი დავალების შესრულება მოხოვა. დავალება შემდეგში მდგომარეობდა: დრუსკინის შევციაში მცხოვრები მეგობარი, ერნსტ ემსპაიმერი (მას იგი ჯერ კიდევ ომაძეე დაახლოვდა), 1930-იანი წლების დასაწყისში ფონორაქივში მუშაობდა. იგი ლილ-ვაჭხე ჩაწერილ გურულ მრავალხმიან სიმღერებს შეიფრავდა. ესმპაიმერი ლილვაჭხის მდგომარეობით დაინტერესებულია. მეცნიერი მათი ასლების შევციაში გაგზავნას ითხოვდა. მას ფონოგრამებიც ესაჭიროებოდა და სიმღერების სახოტო ჩანაწერებიც. მე მივაკითხე დრუსკინს და მან პუშკინის სახლის დირექტორის სახელზე დაწერილი ემსპაიმერის წერილი გადმომცა.

იმსანად სულ 6-7 წელი იყო გასული მას შემდეგ, რაც შინაგან საქმეთა სამინისტრომ არქივები სამოქალაქო უწყებებს გადასცა. აქებების ჭყლი თანამშრომლები, განსაკუთრებით ისინი, ვისაც საარქივო მასალების დაცვა ვალუბოდა, ანგარიშვალდებული იყვნენ ამ მრისხანე დაწესებულების წინაშე. ამდენად, ემსპაიმერის თხოვნა იმსახად ექსტრაგანაზურად გვერდებოდა (მოვლენებს გავუსწრებ და აღვიზნავ, რომ ჩემი იქ მუშაობის 15 წლის განმავლობაში არ მახსოვრის, ვინმეს გამოეთქვა სურვილი ფონორაქივის მასალების საზღვარგარეთ გაგზავნის თაობაზე). მაშინვე დრუსკინს გაუშენილე, რომ არ მქონდა ამ საქმეში წარმატების იმედი - მე ხომ სრულიად ახალგებდა თანამშრომელი გახლით. მახსოვრის, მიხეილ დრუსკინმა მიჰასუხა: „შესმის, რომ ახალგაზრდა თანამშრომელი ხართ, მაგრამ გნახოთ, რა გამოვა.“

იმსანად პუშკინის სახლის დირექტის



მოვალეობას დროებით ფ.ი. პრიმა ასრულებდა. იგი ლენინის პრემიის ლაურეატი გახდათ (ტარას შეგჩენკოს შესახებ დაწერილი წიგნის გამო). პრიმა ჩაეცემით დიროვნება იყო, რაზეც ესოდეს ნათლად მიუთითებდა მისი სახის გამომეტყველება. ინსტიტუტის კულტურებში ამბობდნენ, რომ იგი გადაწყვეტილების მიღებას უყველთვის გაურბოდა. ემსპაიმერის წერილი გერმანულიდან გთარგმნე და დირექტორს წარვდინე. ჩემდა გასაოცრად, დირექტორმა წერილს დადებითი რეზოლუცია დაადო.

ემსპაიმერის საინტერესო მასალები არქივში უკნებლად და სრულად იყო დაცული. მართალია, სანოტო ხელნაწერების ასლის გადაღება პრობლემას არ წარმოადგენდა, მაგრამ სამუსიკო მასალის ჩაწერა არაერთ სროლელებთან იყო დაკავშირებული. გურულ მომღერლებთან იოსებ მეგრელიძესაც უმუშავია. იგი 1930-იან წლებში ნ. მარის მდივანი ყოფილა. საავტორო უფლებების პირობების მიხედვით, ლილვაჭხის პირის გადასაღებად საჭირო იყო ბატონი იოსების ნებართვა. ბუნებრივია, ემსპაიმერმა ნებართვა მისგანაც ითხოვდა. პუშკინის სახლიდან თბილისში გასაგზავნი წერილი კი მე მოვაზადე. პროფესორმა იოსებ მეგრელიძემ თანხმობა განაცხადა. საკუთარი კეთილგანწყობა მან წერილობითაც გამოხატა.

ფონორაქივის მცველს, ვ. კორგუზალოვს ლილვაჭხი (მათი რიცხვი 90-ს აღემატებოდა) სპეციალურად დაჭინდა რადიოში. იგი ჩანაწერების მაგნიტოფირზე გადატანაზე ზრუნავდა (სამუშაო იმ დროისთვის შეძლებისდაგვარად მაღალი სარისხით სრულდებოდა). ემსპაიმერის დაკვეთა ტექნიკური თვალსაზრისით საუკეთესოდ შესრულდა (რამდენადც ეს ჩვენ ქვეყანაში იყო შესაძლებელი). ჩანაწერები შევციაში გაგზავნეს. ამ დაკვეთის შესრულებისას მე ემსპაიმერს კიდევ (ერთხელ თუ ორჯერ) მივწერ წერილი, რის შემდეგაც ჩვენს შორის მიმოწერა თითქმის

მის გარდაცვალებამდე გაგრძელდა. ემსპაიმერ-  
მა თავისი ზოგიერთი ნაშრომიც გამომიგზავ-  
ნა; ამჟამად მისი ეთნომუსიკოლოგიური მოღვა-  
წეობის შესახებ მეტ-ნაკლებად სრული წარ-  
მოდგენა მაქვს.

ქრისტე ქმარიამერი (დაიბადა გერმანიაში, 1904 წელს) იყო გვივილი აღლურის, კილიბარის დესკლერის მოწაფე. იგი ორგანიზის პროფესიას დაეუფლდა და ახლო-გაზრდობისას მუსიკის მცოდნეობის სფეროში სადისერტაციო ნაშრომიც დაუწერია. 28 წლის ქმარიამერს (ცოტა ხნით ადრე ვიდრე გერმანიაში 1933 წლის გარდატეხა მოხდებოდა) მეცნიერების ულტრანტად დაუწეია მუშაობა დღვეანდელ რესერვის ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში, ერმიტაჟში; პარალელურად იგი ერების (შესაძლებელია, მაგრამ იქნება ენების?) კალევის ინსტიტუტშიც (ე.წ. „კუნსტგამერა“) მოღვაწეობდა. ფონორარქივი, რომელსაც ე.ვ. გიპიუსი ხელმძღვანელობდა, იმხანად ამ ინსტიტუტს ეკუთხნოდა. ინსტიტუტში სწორედ ამ დროს იწყებს მუშაობას ფოლკლორული კომისია მს. ავდოგესტის ხელმძღვანელობით (მანამდე იგი ციმბირში მოღვაწეობდა). იმავე წლებში კომისიასთან თანამშრომლობდა დრუსკინი; იგი ახალი დაბრუნებული იყო გერმანიდან, სადაც მან სტაჟირება გაიარა. დრუსკინი რევოლუციური სიმღერების კაპიტალური კრებულის მომზადებაში მონაწილეობდა.

., 1964). მუსიკის მდგრადნები ამ კრებულით  
ხშირად ხელმძღვანელობენ - გიპიუსმა ხომ  
სწორედ ამ წიგნის წინასიტყვაობაში ჩამოაყალიბა  
თავისი ცნობილი დებულებები ანალიტიკური  
ნოტაციის შესახებ.

მე შევადარე კრებულის ავტორებისა  
და ქმნამიმღერის მიერ ნოტირებული სიმღერები  
(სანოტო მაგალითები გამოქვეყნდა). ემსპაი-  
მერის ნოტაცია რიტმულად უცრო მარტივია  
გიპოესისა და გალაფის ნოტაციასთან შედარებით.  
გიპოესისა და გალაფის ჩანაწერებში წარმოდ-  
გნილი რთული რიტმული ნახაზი შეძლება  
ბისდაგვარი სიზუსტით ასახავს შესრულების

ექმპლ რებატოს, ოსური სიძღვრის დღესთვეების კვანტიტეტურ თავისებურებებს. ოსური ხალხური სიძღვრების კრებულთან შედარებით ემსაიმერის ხელნაწერებში სიძღვრის სტროფის კომპოზიციური სტრუქტურის გრაფიკული გამოსახულება განსხვავებულადაა წარმოდგენილი. პ-ვ. კვიტებას სისტემის კვალდაკვალ, ოსური სიძღვრების ნოტაციისას მელოდიური მუხლებისა და ნახევარტაქპების გასამიჯნად გიპიუსიც იყენებს ტაქტის საზს ( ეს პრინციპი მომდინარეობს კრებულიდან " ჟ ჟ ჟ " ) და შედეგად ფართო ტაქტებს დებულობს (მაგ. 19/8-ით და ა.შ.).

როგორც ჩანს, ე. ემსპაიმერი მიიჩნევდა, რომ ოსური სიმღერები თავისუფლად სრულდება, რაც სამუსიკო ტექსტში მხოლოდ სიტყვიერი აღნიშვნების გამოყენებას გულისხმობს, ტაქტბად დაყოფას კი მეცნიერი მხოლოდ საღეჭსო და მელოდიური აქცენტების გადმოსაცვადი მიმართავდა. ემსპაიმერის მიერ გაშიფრულ სიმღერებში ტაქტები  $\frac{2}{4}$  და  $\frac{3}{4}$ -ით არის წარმოდგენილი. გრძლიობათა როგორ შეფარდებებს აქ ვერ შეხვდებით. მიუხედავად ამისა, თუკი მსედველობაში არ მიყიდებთ სოლო ხმის ნატივ რიტმულ დეტალებს, ერთი და იმავე სიმღერის ნოტირების ზემოსხენებული ორი ვერსია ტექსტუალური თვალსაზრისით ოდნავ თუ განსხვავდება ერთმანეთისგან (იგულისხმება მელოდიის ბეგერათა შემადგენლობისა და მრავალხმოანობის გამოსახვა).

თუკი ლილვაპებზე ჩანაწერის სარისხესა და მისი გაშიფრის სირთულეს გავითვალისწინებთ, მოელი სისრულით წარმოჩნდება ემსაიმერის მიერ გაწეული შრომის მნიშვნელობა და მასშეგაბი.

ის, რასაც მე ამ ორი ნოტაციის შედარების თაობაზე ვწერდი, დღეს წლებით ნაკარნახევ კიდევ ერთ შეკითხვას ბადებს: რომელი სმოვანი წყარო უდევს საფუძვლად კრებულში ("ჰ ა აშ ჩ აშ") თავმოყრილ ახალ სანოტო ჩანაწერებს? ესოდენ საფუძვლიანი ნაშრომი შესაძლოა შესრულდა ან ლილვაკების, ან კიდევ მათი ასლების გაშიფვრის საფუძვლებზე (ლილვაკებზე მუშაობა განსაკუთრებით დიდ დროს მოითხოვდა). გიპიუსი მოსკოვში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. ამდენად, ლენინგრადში იგი დიდი ხნით ვერ შეეყოვნდებოდა. მისი უზარმაზარი პირადი არქივის აღწერილობა (იგი საფუძვლიანადაა გამოცემული) სმოვანი მასალების შესახებ დუმს. ამდენად, ჩვენთვის უცნობია, იყენებდა თუ არ ა ემსპაიმერი ბ. გალავის ლილვაკების ასლებს. შესაძლოა ოსური სამღერებების რიტმიკის ახლებური ფიქსაციის წყაროს თვით გალავის ნამდერი წარმოადგენდა, ანდა ლილვაკებზე შესრულებული მისივე ჩანაწერები; შესაძლოა ემსპაიმერი ლილვაკებს მანამდე ან პარალელურად შიფრავდა. დღეს-დღეობით ყოველივე ეს ვარაუდის ფარგლებს

არ სცილდება. ყოველივე ზემოთქმულის ფონზე ჩვენ ლილვაკების სანოტო ჩანაწერების (პირველი და მეორე ვერსიის) სიახლოვე უფრო გვაოცებს, ვიდრე მათ შორის არსებული სხვაობები. ცნობილია, რომ დიდი მუსიკალური ავტორიტეტების ხელის სახებული სანოტო ჩანაწერები ერთმანეთისგან საკმაოდ სხვაობს, მაგრამ ეს ხომ სავსებით ბუნებრივია და შეცდომებზე სრულიადაც არ მიუთითებს.

ე. ემსაკაიმერმა ოსური ხალხური სიმღერების კრებულს მაღალი შეფასება მისცა. მან ფრთხილად, სულ ორიოდე ფრაზით გამოხატა თავისი დამოკიდებულება კრებულში წარმოდგენილი ნოტირების პრინციპებისადმი. „მელოდიის ტაქტებად დანაწევრება იმიტირებს იმ ვითარებას, რომელიც საკმარისად არ მიესადაგება მელოდიური დეკლამაციის თავისუფალ რიტმულ მოდალობას. სანოტო ტრანსკრიფციის სხვა მეთოდები, რომელებიც ამ ბოლო 50 წლის მანძილზე დამკვიდრდა სამუსიკო ეთნოლოგიის სამუშაო ტექნიკაში, ვუიქრობთ, მეტად წაადგებოდათ კრებულის ავტორებს მათ წინაშე წამოტრილი პრობლემების გადასაჭრელად“, - წერდა იგი. დასანანია, რომ რეცენზენტმა მის მიერ ნახსენები განსხვავებული მეთოდები არ განიხილა, რადგან, ჩემი აზრით, გიპიუს-გალაუგის მიერ ნოტირებულ ნიმუშებში წარმოდგუნილი გრძლივობების ურთიერთმიმართება ნაწილობრივ ასახავს კავკასიურ სასიმღერო მეტყველებას.

ემსაკაიმერის მიერ ფონორქივში შესულებული მომდევნო დიდი შრომა გურულ სიმღერებს უკავშირდება. 1933 წელს საქართველოში ლენინგრადიდან ჩამოვიდა მომდევრალთა დაახლოებით ათკაციანი ჯგუფი. ამ ჯგუფს ახლდა ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენები ი. მეგრელიძე. გურიაში ცხოვრობდნენ 6. მარის ნათესავები და შესაძლოა გურული მომდერლების ლენინგრადში მიწვევის იდვა აკადემიკოსს ეკუთვნიდა, ხოლო მისმა მდივანმა კი ამ იდვის განსხვავება შექმდო. 30-იანი წლების მოთხოვნების შესაბამისად, გუნდის რეპერტუარში ჩართული იყო სიმღერა ლენინზე (ცაგურული სიმღერა ლენინზე), მაგრამ უამირატესობა ტრადიციულ სიმღერებს ენიჭებოდა.

სიმღერების ჩასაწერად გიპიუსმა სამი ფონორგრაფიის გამოყენება გადაწყვეტა. თითოეული მათგანი მრავალხმიანი ქსოვილის ერთერთ ხაზს აფიქსირებდა. საერთო ქლერადობაში ცალკეული პარტიების სრული გამოყოფა (რაც დღეს ასე ადვილი მისაღწევია) იმ პირობებში ვერ ხერხდებოდა, მაგრამ მათ შორის გარეშეული სხვაობების მიღწევა შესაძლებელი აღმოჩნდა. ამდენად, საბჭოთა კავშირის სამუსიკო ფოლკლორისტიერის ისტორიაში გურული სიმღერების ჩანაწერი წარმოადგენდა მრავალარხიანი ჩანაწერის განსხვავებების პირველ ცდას (იგი მასალის სრულყოფილ გაშიფრას ისახავდა მიზნად) და ეს მცდელობა პირველად ქართული ხალხური მრავალხმიანი სიმღერების დასაფიქსირებლად განსხვავებლად.

ლენინგრადში გურული მომდევრლების-გან 30 სიმღერა ჩაიწერეს. იმის გამო, რომ

თითოეული ნიმუში რამდენიმე ლილვაპატე ფიქსირდებოდა, ლილვაკების რიცხვმა 90-ს გადააჭარბა. გურული სიმღერების ნოტირება სწორედ ემსაკაიმერს დაევალა. ჩვენთვის უცნობია, თუ ვინ ეხმარებოდა მას ტექსტის ჩაწერაში, ალბათ მეგრელიძე. არ ვიცი, დასრულდა თუ არა ეს ურთულესი სამუშაო. ძნელი სათქმელია ისიც, თუ რატომ არ მოხერხდა მაშინ ამ სიმღერების გამოცემა. ემსაკაიმერის ნაშრომი აუშენის სახლის ფონორქივში იდო მანამ, სანამ თავად ავტორმა არ მოითხოვა მისი შვეციაში გაგზავნა. ნაშრომის მიღებისთანავე ემსაკაიმერმა სანოტო ხელნაწერები თავის მოწაფეს, სიუზანა ცოდლებს გადასცა გამოსაცემად მომზადებისათვის. ტრანსკრიფციის ავტორი უკვე იმ ასაკში გახლდათ, რომელშიც მას ძალა აღარ შესწევდა საკუთარი ჩანაფიქრის განსახორციელებლად – ასალი საველე სამუშაოების შესასრულებლად. პროექტი, რომელიც მისი ხელნაწერის გამოსაქვეწებლად მომზადდა, გურული ტრადიციული მრავალხმიანი ხელახლალ კვლევას ითვალისწინებდა. კერძოდ, გასვლებს ადგილზე, ლენინგრადის ფონორგრაფიულ სეანსში მონაწილეობის თავმოყრას, მაღალი ხარისხის გამოყენებას და ა.შ. ეს ყველაფური მართლაც შესანიშნავია, მაგრამ ამ ნაშრომის დასრულებას მუდამ თოთქოს ბედისწერა აფერებდეს: 30 წელზე მეტი გავიდა მას შედეგ, რაც გურული სიმღერების ჩანაწერები ხელნაწერების ავტორს დაუბრუნდა, მაგრამ ამ სამეცნიერო ნაშრომის გამოცემის თაობაზე დღემდე ვერავითარ ცნობას ვერ წავაწყდი. იგონებდა რა ემსაკაიმერს, გიპიუსი ამბობდა, რომ მან პოლიტიკიზრ სიტუაციის ცვლილება იგრძნო; საზღვარგარეთ რომ არ გამგზავრებულიყო, ალბათ საბჭოთა კავშირში მომუშავე სხვა მრავალი უცხოელი სპეციალისტივთ, ისიც ბანაკებში მოხვდებოდა. ემსაკაიმერმა საცხოვრებლად, ანუ მეორე სამშობლოდ (როგორც ჩვენში იტყვიან) შვეცია აირჩია.

უნდა აღინიშნოს, რომ ემსაკაიმერი, როგორც ეთნომუსიკისმცოდნე დაენინგრადში ჩამოყალიბდა. საბჭოთა კავშირში ჩამოსვლამდე მას სამუსიკო ფოლკლორის სფეროში არ უმუშავია. მეცნიერის მიერ ლენინგრადში გატარებული ითხი წელიწადი დაბაბული მუშაობის წლები იყო. ამას ოსური და გურული სამუსიკო ფოლკლორისადმი მიღვნილი მისი უდიდესი ნაღვაწი მოწმობს. შვეციაში ჩასვლისთანავე ემსაკაიმერი მეტად საჭირო სპეციალისტად მიიჩნიეს. მან მუშაობა დაიწყო ეთნორგრაფიულ მუზეუმში, სადაც საკრავების კოლექცია იყო დაცული.

1939 წელს აზიაში ერთ-ერთი ექსპედიცია დასრულდა. მისი მონაწილე გახლდათ დანიელი მეცნიერი პეტრი პასლუნდ-ქრისტენსენი. მონგოლეთში იგი პირველად 1928 წელს (ჩინურ-შვედური ექსპედიცია) აღმოჩნდა და თერთმეტი წლის განმავლობაში ედისონის ფონორგრაფზე ჩაწერა ხალხური და საკულტო

(სატაძრო) მუსიკის მდიდარი კოლექცია. 1943 წელს სტოკოლმში ერთ-ერთი დანიური ფონდის ფინანსური დახმარებით გამოვიდა კრებულის "The Musik of the Mongols"-ის პირველი ტომი. თვით პალსლუნდ-ჯრისტენსენი ეთნოგრაფი გახდათ; სწორედ ამიტომ, მან საკუთარი სასიმღერო მასალების გამოსაცემად მომზადება თუ მეცნიერს მანადო - მუსიკისმცოდნესა და ლინგვისტს. წიგნში ბუდისტური გრაფიკით წარმოდგენილი პოეტური ტექსტების ინგლისური თარგმანი კ გრონბექს ეკუთვნის, ხოლო ნაკვლევის კრცელი მუსიკალური ნაწილი კი - ემსაიმერს ემსკაიმერმა ნაშრომს დაუკრთო 90-ზე მეტი ნოტირებული ნიმუში (შესასრულებლად როული და მასშტაბური) და კრცელი სტატია ტრადიციული მონგოლური სიმღერისა და საკრავების შესახებ. იგი ემსკაიმერის, როგორც ეთნომუსიკისმცოდნის პირველი კრცელი პუბლიკაცია. ვფიქრობ, რომ სტატიაში მკაფიოდაა ასახული ლენინგრადში მუშაობის გამოცდილება. მეცნიერი ამომწურავად იცნობდა რუსი მკვლევარების ნაშრომებს სამუსიკო (და არა მხოლოდ სამუსიკო) მონგოლიისტიკის სფეროში. ეს კი დასავლეურ ეთნომუსიკოლოგიაში იმ დროისათვის დიდ იშვიათობას წარმოადგენდა. პანგების კომენტირებისას ემსკაიმერი მოიხმობს იმ მელოდიების მრავალრიცხოვან ვარიანტებს, რომლებიც მისთვის რუსული გამოცემებიდან იყო ცნობილი.

კრებულში "The Musik of the Mongols" სიმღერები დაჯგუფებულია მონგოლეთის ისტორიული რეგიონების ადგილობრივი ტრადიციების გათვალისწინებით. ეს გვაგონებს „ ჰქ ჸ ~ს, სადაც სამუსიკო მასალა კლასიფიცირებულია იმავე პრინციპით, თუმცა აქ ლოკალური სტილის არეალს სოფლების მცირე ჯგუფი ქმნის. ეს პრინციპი ემსკაიმერმა მიზანდასახულად აირჩია. იგი განსხვავებულია პანგების ლექსიკური კლასიფიკაციის იმ პრინციპისაგან, რომელიც გერმანულ, ფინურ და სხვა ფოლკლორულ კრებულებშია მოცემული. როგორც თავად მეცნიერი აღნიშნავს, იქ მელოდიები „სამუსიკო პრინციპების შესაბამისადაა დაჯგუფებული [...]“ მაგრამ ლექსიკალურ თვალსაზრისხევი დაყრდნობა სარისკოა, რადგან ამგვარი მთთოებები შესაძლოა წიგნის ავტორის სუბიქტური პოზიციით იყოს ნაკარნახევი.“

სსენტულ კრებულში ემსკაიმერი მასალის მოწოდების იმ პრინციპებს მიმართავს, რომლებსაც 1930-იანი წლების საბჭოთა გამოცემებში ვერ შეხვდებით. აქვეყნებს რა მრავალსტროგული ნიმუშების სანოტო ჩანაწერებს, მეცნიერი მათ „შედარებითი პარტიტურების“ (მისივე გამოთქმაა - მ.ლ.) სახით წარმოგვიდგენს (ამ პრინციპმა ჩვენში ბევრად უფრო გვიან - ნოტაციის ანალიტიკური მეთოდის გავრცელების შემდეგ - მოიკიდა ფეხი). ემსკაიმერი სრული სახით



პროფესორი  
მიხეილ  
ლობანოვი

ხოლოდ პირველ სტროფს წარმოადგენს; მომდევნო სტროფებიდან კი მხოლოდ მისი ვარიანტები მოჰყავს და მათ „შედარებითი პარტიტურის“ შესაბამის ადგილებზე განათავსებს; მომდევნო სტროფებში სრული თანხვედრის მონაკვეთები ნაჩვენები არ არის. ცხადია, სტროფების ვარიანტების შესასწავლად ჩაწერის ეს მეთოდი ძალზე მოსახერხებელია. იგი არსებულ სახეს განვითარებდა გამახვილების საშუალებას იძლევა. მაგრამ ზეპირი ტრადიციის სამუსიკო ქმნილების ამგვარი ფიქსაცია, რბილად რომ ვთქვათ, არაურთ შეკითხვას ბადებს. მათ შორის პირველი შეკითხვა ასეთია: რა ვუყო ტექსტს?

ემსკაიმერი სერიოზული პრობლემის წინაშე აღმოჩნდა; საქმე ის გახდავთ, რომ "The Musik of the Mongols"-ში სიმღერებს სიტყვიერი ტექსტი არ ახლავს. გასაგებია, რომ ვერტიკალური მიმართულების ბუდისტური დამწერლობა ევროპულ ნოტაციას არ შეესაბამება, მაგრამ ხომ არსებობს ფონეტიკური ტრანსკრიფცია, რომლის შეფარდება სანოტო ტექსტთან უდაოდ აჯობებდა. კველა ამ გადაულახავი სირთულის მიუხედავად, „მონგოლების მუსიკას“ გამოცემა უზარმაზარი შენაძენია ამ ერის ტრადიციული კულტურის შესასწავლად; სამწუხაროა, რომ ამ მრავალტომიანი ნაშრომის მომდევნო ნაკუთები არ გამოქვეყნებულა.

ემსკაიმერის შემდგომი მოღვაწეობა მხოლოდ სამუსიკო საკრავთმცოდნებასთან იყო დაკავშირებული. 1949 წელს მეცნიერი სტოქოლმის სამუსიკო-ისტორიული მუზეუმის დირექტორად დანიშნებს, სადაც იგი სიცოცხლის ბოლომდე მოღვაწეობდა. ემსკაიმერის ხელმძღვანელობით მუზეუმი წარმატებულად მუშაობდა. ამას მოწმობს მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული კრებულების - ~Studia instrumentorum musicae popularis~ სერიები, რომლებიც გამოქვეყნებული სტატიების მაღალი დონით გამო-

ირჩეოდა. მუზეუმში მოღვაწეობის პერიოდში ემსაიმერი ბევრს არ წერდა, ძირითადად მცირე ზომის გამოკვლევებს აქვეყნებდა. მათში წეაროები გულმოდგინედაა განხილული; ასევე საფუძვლიანადაა დამუშავებული მეცნიერული კონცეფციის ყველა დეტალი.

პენსიაზე გასვლის შემდეგ ემსაიმერი თავისი მეცნიერული გზის დასაწყისის ერთერთ ყველაზე დიდ ნაშრომს - გურულ სიმღერებს მიუბრუნდა. სწორედ ამ ნაშრომით დაიწყო ჩვენი ნაცნობობა. მაგრამ ჩვენ ხომ მხოლოდ შორიდან ვიცნობდით ერთმანეთს. თუმცა, არც ამაშია სრული სიმართლე: 1974 წელს მოსკოვში საკრავთმცოდნეობისადმი მიძღვნილი კონფერენცია შიძღვინარებდა. ზოგიერთმა სტუმარმა ლენინგრადში ჩასვლის სურვილი გამოთქვა. მათ შორის ემსაიმერიც გახდეთ. ლენინგრადში ჩასვლისთანავე მეცნიერი პუშკინის სახლის ფონოარქივისკენ გაემართა. ის დღე წინასწარ დაიგეგმა. ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ მოიფიქრა დავალება, რომლის შესასრულებლად მე ინსტიტუტიდან გახდება. როგორც კი წასასვლელად მოვემზადე, ინსტიტუტის კარგთან შევეჩეხ სტუმრების ჯგუფს, რომელიც ჩქარი ნაბიჯით ფონოარქივისკენ მიემართებოდა. სწორედ მაშინ წარმადგინეს ემსაიმერის წინაშე და ჩვენ ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით. ბუნებრივია, ამ მოკლე შეხვედრას დამარცხებული არ შეუცვლია - ჩვენ ხომ მხოლოდ მიმოწერა გვქონდა ერთმანეთიან.

1989 წელს მივიღე სამუსიკო-ისტორიული მუზეუმის ერთ-ერთი თანამშრომლის წერილი. იგი ერნსტ ემსაიმერის გარდაცვალების შესახებ იუწებოდა. ერთი-ორი წლის შემდეგ ლენინგრადში (ან, უკვე სანკტ-პეტერბურგში) ჩამოვიდა მისი მოწაფე, სიუზანა ციგლერი და ემსაიმერის წერილები მოხოვა: იგი მასწავლებლის წერილების ტომეულის გამოცემას ამზადებდა. ბუნებრივია, მე დიდი სიხარულით შევასრულე მისი თხოვნა, მაგრამ დღემდე არ ვიცი, გამოიცა თუ არა ეს წიგნი ისევე, როგორც არ ვიცი, რა ბედი ეწია გურული სიმღერების კრებულს.

**მიხეილ ლობანოვი  
(სანკტ-პეტერბურგი)**

**თარგმნა მაგდა სუხიაშვილმა**

## მარტო ჩვენ სოფელში ერთდროულად თერთმეტი კრიმანჭული იყო

ინტერვიუ ცნობილ ლოტბარ  
ვაჟა გოგოლაძესთან  
თბილისი, 23 თებერვალი 2005 წ

- გვიამბეთ თქვენი ოჯახის შესახებ.

- ჩვენი გვარი ჩოხატაურის რაიონის, სოფ. გოგოლეთუბანიდან არის. დედაქმი ჯიბლაძის ქალი იყო, რომელიც კარგად მდეროდა. მამამისი, სასულიერო წოდების კაცი გახდდათ და საგალობლების შესანიშნავ მცოდნედ ითვლებოდა. მამაქემიც კარგად მდეროდა, „დაწკრიალებული“ ხმა პქონდა, კრიმანჭულსაც ამბობდა. ოთხი იყვნენ, მშები, კარგად განაწილებული: 2 კრიმანჭული, წებება და ბანი. მამა ხის სატატი, ხურო, შეძლებული გლეხი იყო, 1937 წლის 27 ნოემბერს დაიჭირეს და მას შემდეგ ცოცხალი აღარ გვინახავს.

დედაქემის ამარა დავრჩით სამნი, ორი და და ერთი მშები, უფროსი და - შურა, ბანი იყო, შეათანას - მარგალიტას მამის ხმა გამოყვა, იგი რაიონის ანსამბლში წერდას, მოძახილსა და კრიმანჭულს მდეროდა; მე მეორე ხმას ვამბობდი. მოკლედ, მე და ჩემი დები კარგად, შეხმატებილებულად გმდეროდით.

- საგალობლების შესახებ რას გვხმოდთ?

- მოუხედავად იმისა, რომ საგალობლების თქმის უფლება ხალხს წაართვეს, მაინც შემთრჩა იგი გურული მომღერლების რეპერტუარს. უამრავი გურული საგალობლები დაგვიტოვა საგალობლების უბადლო მცოდნებ, არტემ ერქომაიშვილმა. უნდა ითქვას, რომ საგალობლების შესწავლის გველაზე ძველი სკოლა ოზურგეთსა აქვს. დუმბაძეები, ნაკაშიძეები, ჩავლეიშვილები მომღერლებიც იყვნენ და მგალობლებიც მათთან, კერძოდ სამუელ ჩავლეიშვილთან ბევრი ჩოხატაურიდანაც დადიოდა და სწავლობდა სიმღერა-გალობას...

ჩემს ბაგშვილიაში, სოფ. შეა განახლების გალენიაში ფუსტენდი გალობას. ხშირად დავდიოდი ჯიხეთის დედათ მონასტერში, ნათლიასთან, სადაც მონაზენები გალობდნენ.

ერთხელ, X კლასევლები კოლეგიურნების ბრიგადას გაგვაყოლეს სიმინდის სარჩევად. წვიმიანი ამინდის გამო ჯიხეთის მონასტერთან მოგვიწია გაჩერება. 12 საათი რომ შესრულდა ტაძრიდან შესანიშნავი გალობის ხმა გაისმა. გავიგონეთ „მეუფე ზეცათაო“, „მოვედიოთ და ვსვათ“... (როგორც ჩანს, რომელიდაც დღესასწაულობრივ დაკავშირებით დამისოფების ლოცვა



მიმდინარეობდა). რამდენი წელი გავიდა ჩემი ბავშვობის შემდეგ და ის ხმები მესიერებიდან არ ამომდის.

**— გინ გასწავლათ ხალხური სიმღერა და რომელ ცნობილ მომღერლებთან გქონდათ ურთიერთობა?..**

— სკოლა ახალი დამთავრებული მქონდა, როცა ჩოხატაურში IX რესპუბლიკური ოლიმპიადისთვის დაიწყო მზადება. ახლადჩამოყალიბებულ სარაიონო გუნდს სათავეში დაგენდარული გურული მომღერალი, განუმეორებული ბანი, ვლადიმერ ბერძენიშვილი ჩაუდგა. მე მის თანამშეწეფე დამნიშნეს. მაშინ ბ-ნ ვლადიმერს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება მიენიჭა, ხოლო რამოდენიმე კაცს საპატიო სიგელები გადმოგვეცა.

თუმცა, მე და ბ-ნი ვლადიმერი ერთი სოფლიდან ვიყავით, ბავშვობაში მას არ ვიცნობდი. პირველად სკოლის ერთ-ერთ ღონისძიებაზე მოისმინა. „მოღი, ბიძია, აქ შეჩ, წამოდი ჩემთან“, — მთხოვან და რაღაცა წამიმღერა, — „გაიმჟორეო,“ — გავიმჟორე. რასაც მიმღერებდა, მე ვიმურებდი... ლადიმერ ჩემი მასწავლებელი იყო.

ჩოხატაურში გახლდათ იმ ღორს ვლადიმერ ბერძენიშვილის პარტიორი სახელმწიფო ანსამბლში, არაჩვეულებრივი „წევბა“ — ერმალო სიხარულიძე. მათთან ქრისტ მდგრიდა შესანიშნავ „კრიმბული“ — სამუელ ჩივავიშვილი.

ერთხელ, ჩემს ბავშვობაში კონცერტზე ლადიმესთან ერთად ვარღამ სიმონიშვილიც გამოდიოდა. მე ვთხოვა ბ-ნ ლადიმეს, დედაჩემს სუვრას გავაკეთებიებ და ეს კაცი როგორმე წამოიყვნეთქო. შეწუხდა, სადა გაქვს შე მაგის საშუალებათ. სახლში განთქმული ბუკისციხის ღვინო მქონდა მამიდაჩმიდან ჩამოტანილი. წამოვიდნენ: ლადიმე, ვარღამი, ერმალო სიხარულიძე, შალვა მახარაძე, დომენტი ქარჩავა, პატარა ოთარი

(ლადიმეს შვილი) ... „აი ბაღანა რაფერია?“ — იქითხა ვარღამია ოთარზე. „პაწიაა,“ — უთხერეს. „პაწია როა, ქე ვხედავ, ხმაი რაფერი აქვს?“ „დუშტუ რაცხა და იძღვრების“, — უთხერა ლადიმე. „შენ დუშტუ,“ — უთხერა ვარღამია. ოთარმა არ იძღვრა. ცოტა ხნის მერე მე და ოთარმა წამოვიწყო სიმღერა, ლადიმემაც „გაკრა“ პატარა ბანი... ტბილი ხმა იყო, უკეთესს ვერაფერს მოისმენდა კაცი.

ჩოხატაურელი მომღერლებიდან გავიხსენებდი აგრეთვე შალვა მახარაძეს, ლადიკო ჯონჭარაძეს, არსენა პაიჭაძეს, რომლებიც შესანიშნავი მომღერლებიც იყვნენ და გუნდებიც ყავდათ მომზადებული.

განსაკუთრებით გავიხსენებდი ბ-ნ არტემ ერქომაიშვილს, დიდი ოჯახის წარმომადგენელს, შესანიშნავ ლოტბარს, მომღერალსა და უსპეტაძეს პიროვნებას.

ასევე ახლო ურთიერთობა მქონდა ცნობილ ლოტბართან ვასო მახარაძესთან, რომელიც თბილისში ყოფილი პირველი მაისის ქუჩაზე მდებარე ე. წ. ბერიას კლუბს ხელმძღვანელობდა. ამ კლუბში მე ანსამბლიც ჩამოვაყალიბე.

ამ ბოლო წლებში ბევრი გამოგვაყდა: გურული სიმღერების შესანიშნავი მცოდნე დიმიტრი იმედაიშვილი, შოთა დოლიძე — „კრიმანჭული“, სანდრო კალანდაძე — I ხმა, გივი აცანელიძე — კარგი ფარდაც (ხმის შეწყობი) იყო და კარგი მომღერალიც...

**— დღეისათვის როგორ შეაფასებდით გურული სიმღერის სწავლების საქმეს?**

— ერთი სიცოცხლის მანძილზე ადამიანი ვერ ასწრებს ყველაფრის აფვისებას, გამღერებას, ჩაწერას. წლების მანძილზე რამდენიმე კაცი გამოერვა ისეთი, რომელსაც ხმაც კარგი აქვს და ათვისების უნარიც. ბევრი მუშაობა უნდა, ისე არაფერი გამოვა. აი, მაგალითად, მე გასულ წელს გურული სიმღერების სასწავლებლად ვიყავი ავსტრალიაში. უნდა გეხახათ იმათი მონდომება. ყველა სწავლობდა სიმღერის არა ერთ, არამედ სამივე ხმას. ჩვენში ასე არ ხდება, დაისწავლიან ერთ ხმას და გუნდში უნდათ სიმღერა. უწინ ყველაფერი სხვანაირად იყო. კაცი კაცს რომ ესტუმრებოდა, შეუა ცეცხლში სანამ ჭადი გამოცხებოდა და პატარა შაში შეწყვებოდა, იწყებდნენ სიმღერის „მოსინჯვას“, როგორი ვარიანტი ჯობდა... მთელი სადამოს მანძილზე, ცეცხლის პირას თითო ბოთლ ღიონზე ერთო-ორი სიმღერის „გაკეთებას“ ასწრებდნენ. მაგალითად, სამუელ ჩავლებიშვილი წამოვიდოდა შუამთაში, კოწია შილაკაძეს ან ნიკიფორე ჩავლებიშვილს წამოიყვანდა, გაუგლიდა ერმალო სიხარულიძეს გზის პირში, აფიდონენ ვახტანგ სიხარულიძესთან მთისპირში და მთელი ღმე ერთ ჭიქა დგინოზე ორ-სამ სიმღერას „გააკეთებდნენ“...

ვარლამი თურმე ბიჭებს ამეცადინებდა კურძო. შალვა მახარაქესაც მონდომებია სიარული, მაგრამ ფული არ ქონდა. ამდგარა და, თავის მეგობარ მიტუშა იმედიაშვილთან ერთად, ჩუმად დაუწევია სიარული. მივიდოდენ სახლის ქვეშ, ბუჟართან, და იქიდან უგდებდნენ ყურს. სშირად დამს გათენებაც უწევდათ. „ხან ღორი გამდვიწებდა, ხან ძაღლი დაიყევებდა, ქე ვიყავით ამოქვანქლილი მტკვრში“ – იგონებდა ბ-ნი შალვა...

ახლა, ვასწავლით, ზოგჯერ ფულსაც ვაძლევთ, კონსაკეტებს ვუმზადებოთ, ისინი მაინც აცდენენ, მოდიან და არაფერი არ იციან.

დღეს გურიაში კარგ მომღერლად ითვლება ის, ვინც 10-15 სიმღერის სამივე ხმა იცის. მთელი ძალისხმევაა საჭირო, რომ ყველა ხმაში საჭირო კაცი გყავდეს. მაგ. ჩვენი ოთარი იმის გამო, რომ ბანი არა კყავო, ოზურგეთს ეხმარება. ჩვენ კიდევ, როცა გვჭირდება, ბანს ვუკეთევთ ხოლმე თბილისში, რომ ჩამოვიდეს... დღეს ასეა, მაგრამ ერთ დროს, სხვაზე რომ აღარაფერი ვთქათ, მარტო ჩვენ სოფელში, ერთდროულად თერთმეტი კრიმანტული იყო.

– თუ დაასახელებდით რომელიმე ისეთ მივიწყებულ გურულ სიმღერას, რომელზედაც გწევდათ გული...

– გურიაში რომ ჩადის კაცი უნდა გაიგონოს „ჩვენ მშეიღობა“, „მასანძელსა“, „შევი შაშვი“, „დალოცვა“, „მადლობელი“, „თამადებს გაუმარჯოს“, „ლატარიის სიმღერა“, „ხასანბეგურა“... ერთი ათი სიმღერა ისე უნდა თქვან, უკან არ უნდა მოიხდონ (არ გაიმეორონ).

დიმიტრი იმედაიშვილმა მასწავლა ქველი „საზეიმო სიმღერა“, რომელიც გავაკეთე გუნდში, საჭიროა საგალობლებიც აღვადგინოთ. მაგალითად, „წმიდაო დეკრო“, „მოვედით და ვსვათ“, „ნეფელებითვლის დალოცვა“

„დიდება დმერთსა,  
ყანწი ვიგდე ხელსა,  
დმერთმა ნევე თქვენ დაგლოცოთ,  
დედოფალო თქვენცა,  
თორმეტი ვაჟი გყოლოდეთ,  
გაეზარდოს ერსა,  
არი, მარი, არ ვარ მთვრალი,  
არც დვინის სმას არ ვუქარი,  
ჩქარი უნდა ვიშაიროთ,  
აბა დელი, ოდელიადა.

დიდება დმერთსა, კიდევ დავლევ ერთსა...“  
– ორხმიანი ან ერთხმიანი გურული სიმღერები თუ გაგივიათ?

– თუ კი არ არის საცმარისი რაოდენობა მომღერლებისა, მხოლოდ მაშინ ითქმება

გურული სიმღერა ორ ხმაში, ისე – არა. გურული სიმღერა სამხმიანია.

– „კრიმანტული“ უფრო აღრეულია თუ „გამყივანი“?

– ნადურ სიმღერებში, რომელიც უფრო პირველადია, ძველია – არის „გამყივანი“. კრინის „მანჭვა“ შემდგომია. სიმღერას გააჩნია, ზოგიერთს „კრიმანტული“ ჰირდება, ზოგს კიდევ არა და „გამყივანი“ უფრო უხდება.

– როგორ იყო სუფრასთან, ნებიმზერი სიმღერის თქმა შეიძლებოდა?

– შრომის სიმღერას სუფრასთან არ იტქონება, საბოლოოშოსაც, მხოლოდ აგადმყოფთან ასრულებდნენ.

– რას იტყოდით სურების ნაღურზე, ბ-ნი ოთარ ბერძნენიშვილი ამბობს საუკეთესო ნაღური ჩოხატაურში იქ იცოდნენო.

– ნამდვილად ასე იყო. 1983 წელს გადაღებულ ფილმში „გურიის მთები, კრიმანტული“, სოფელ სევის მოხუცი მომღერლები – მამლაძეები ასრულებდენ სწორედ სურების ნადურს.

– გურიაში გაერცელებული საკრავების შესახებ რას გვეტყოდით?

– არც ისე კარგადა საქმე აფილო ჩოხური, გურიის სამივე რაიონში სანოლით ვერ მოქმედი ჩოხურის გამკეთებელს. ისტრუმენტი არ გადასულა, ჯერ არის, მაგრამ გამკეთებელი ოსტატი აღარ არის უკვე. რაც შეეხება გურულ „სოლინარს“ (მრავალდებანი საკრავის სახეობა), დამკრელი ახლა აღარაფინა. ერთი კაცი დარჩენილი 90 წლის – ვასო მახარაძე რომელსაც ახსოვს ბაბუას დაკრული.

– რა ცეკვები გახსოვთ გურიაში, ხომ არ გვეტყოდით?

– გურულები ცეკვავდნენ ფერხულს, „ხორქმა“, ასევე პაჭულარული იურ ცეკვა „ქართული“, აფხაზური „ოტლარჩობა“, ამ უკანასკნელს სიმღერით ასრულებდნენ.

– საოჯახო არქივის შესახებ ხომ არ გვეტყოდით რამეს?

– ჩემს ოჯახში გურული სიმღერის ისტორიის ამსახველი 300 ფოტო ინახება.

– გმადლობთ საინტერესო საუბრისათვის.

ესაუბრენ ნინო კალანდაძე გიორგი დონაძე მალხაზ ერქანიძე

პუბლიკცია მოაზადა თინათონ ქანიაშ

ერთი ქართული ხალხური სიმღერა

იბეჭდება პირველად

## ასლანური მრავალეამიერი

1 *ad libit.*

Largo  $\text{d} = 44$

*poco a poco acceler.*

*piu acceler.*      *Commodo*  $\text{d} = 80$        $\text{d} = 80$

*meno mosso*  $\text{d} = 62$       *acceler.*

The musical score consists of five staves of music for voices. The first staff begins with a fermata over a measure, followed by a vocal line with lyrics: 'ჩა-გა- ბი - გ - ძო! ჩა - გა - გა - ბი ა - ი - გ - ძო! ჩა - ა -'. The second staff continues with the same lyrics. The third staff begins with a fermata over a measure, followed by a vocal line with lyrics: 'გა - ა - გო! გა - გა ჩა - გა - ბი - გო! ჩა - ა - ა - ა -'. The fourth staff continues with the same lyrics. The fifth staff begins with a fermata over a measure, followed by a vocal line with lyrics: 'გა - ა - გო! გა - გა ჩა - გა - ბი - გო! ჩა - ა - ა - ა -'. The score includes dynamic markings like 'Largo' and 'ad libit.', tempo changes like 'poco a poco acceler.', 'piu acceler.', 'Commodo', 'meno mosso', and 'acceler.', and performance instructions like 'f' (forte) and '(p)' (pianissimo). The lyrics are written in a traditional Georgian script.

ერთი ქართული ხალხური სიმღერა

2 ad libit.

Largo  $\text{d} = 68$

*poco a poco acceler.*

*piu acceler.*  $\text{d} = 88$  *meno mosso d = 68*

*acceler.*

Music score for a vocal piece, likely for a choir or ensemble. The score consists of five staves, each with a bass clef. The key signature changes from one sharp to two sharps. The tempo starts at 'Largo' (indicated by a large 'L' above the staff) and gradually increases to 'acceler.' (indicated by a small 'a' above the staff). The dynamics include 'ad libit.', 'poco a poco acceler.', 'piu acceler.', 'meno mosso', and 'acceler.'. The lyrics are written in Georgian and appear under the bass staves. The score is numbered '2' in a box at the top left.